

დანართი N1

დაგეგმილი საქმიანობის ზოგადი ტექნიკური მახასიათებლები

1. პროექტის განხორციელების ადგილი: ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფ. დანისპარაულის მიმდებარე ტერიტორიაზე, ნაკვეთი ს/კ 23.01.33.385. (სიტუაციური რუკა -დანართი N1-1)

2. დაგეგმილი საქმიანობის დასაბუთება: საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება ქვეყნის უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს წარმოადგენს. ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით, ტურისტული ინფრასტრუქტურის (მათ შორის ზამთრის კურორტების) განვითარებას ერთერთი მნიშვნელოვანი როლი ენიჭება, ამ მხრივ კი, როგორც სახელმწიფო ასევე, ადგილობრივი მნიშვნელობის საგზაო ქსელის გაუმჯობესება მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. სატრანსპორტო სექტორის განვითარება აუცილებელია სათანადო ეკონომიკური ზრდისთვის და საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად. შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბათუმი (ანგისა) - ახალციხის საავტომობილო გზას, სრული რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის შემდეგ მნიშვნელოვანი სავაჭრო-ტურისტული ფუნქცია ექნება და ხელს შეუწყობს აჭარისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებს შორის ადგილობრივი მოსახლეობის, ტურისტული ნაკადებისა და ტვირთების შეუფერხებელ გადაადგილებას.

აღნიშნული გზის მშენებლობას უდიდესი მნიშვნელობა ექნება ზამთრის კურორტის, გოდერძის განვითარებისთვის, რადგან ბევრად გაადვილებს სამთო-სათხილამურო სპორტის მოყვარულთათვის კურორტზე წვდომას.

მიმდინარე პერიოდში მიმდინარეობს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბათუმი (ანგისა)-ახალციხის საავტომობილო გზის ხულო-გოდერძის მონაკვეთის (კმ 80-კმ 110) პროექტის მშენებლობის სამუშაოები.

პროექტზე გაცემულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანება Nი- 258, 25.05.2016 -ით ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა N25.(დანართი N1-2)

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაკვეთით (კონტრაქტის №BARP/CS/QCBS-01) ბათუმი (ანგისა) - ახალციხის საავტომობილო გზის ხულო-გოდერძის (კმ 80 -კმ 110) მონაკვეთის სამშენებლო სამუშაოებს ასრულებს უცხოური საწარმო, შპს კორპორაცია სინოჰიდრო (Sinohydro Corporation Limited), რომელიც საქართველოში წარმოდგენილია მისი ფილიალის, „შპს კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალი საქართველოში“-ს სახით (ს/ნ 404859122)

პროექტი ხორციელდება ადიგენის და ხულოს რაიონში, კერძოდ კი გოდერძის უღელტეხილზე. გამომდინარე იქიდან, რომ უახლოესი სამშენებლო მასალების საწარმოები პროექტის განხორციელების ადგილიდან დაშორებულია 30 კმ მეტი მანძილით და პროექტი კი ხორციელდება მთიან რეგიონში, რთულ მეტეოროლოგიურ და გეოგრაფიულ პირობებში, პროექტის ინერტული მასალებით უზრუნველსაყოფად იგეგმება დროებით, სამშენებლო მასალების გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა.

3. მონაცემები საქმიანობის განმახორციელებლის (საწარმოს) შესახებ- მოცემულია ცხრილი N1-ში

საქმიანობის განმახორციელებელი	შპს „კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალი საქართველოში“
საქმიანობის განხორციელების ადგილი	
ფაქტობრივი	ხულო, სოფ. დანისპარაულის მიმდებარე ტერიტორია
იურდიული	ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, ად.მიცკევიჩის ქ., №29, კორპ. №1
საიდენტიფიკაციო კოდი	404859122
GPS კოორდინატები (UTM WGS 1984 კოორდინატთა სისტემა)	X -290845; Y – 4613489;
ობიექტის ხელმძღვანელი:	
გვარი, სახელი	ჩუნმინგ ვანგი
ტელეფონი:	599 52 01 76
ელ-ფოსტა:	liqingyou2013@gmail.com
მანძილი ობიექტიდან უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე	1300 მ
ეკონომიკური საქმიანობის სახე	სამშენებლო მასალების(ინერტული მასალების) წარმოება
გამოშვებული პროდუქციის სახეობა	ქვიშა -ლორღი
საპროექტო წარამადობა	ქვიშა -ლორღი 60000მ ³ (100000ტ)
სამუშაო დღეების რაოდენობა წელიწადში	250
დღეში სამუშაო საათების რაოდენობა	8 სთ

2. საწარმოს განთავსების ადგილი: სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრემის) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა იგეგმება ხოლოს რაიონში, სოფ. დანისპარაულის მიმდებარე ტერიტორიაზე, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, რომლის საკადასტრო კოდია ს/კ 23.01.33.385, ხოლო ფართობი 1500მ²-ს შეადგენს.

ნაკვეთის მეკატრონესთან გაფორმებულია იჯარის ხელშეკრულება, ნაკვეთის დროებით (3 წლით) სარგებლობაზე, რომლიც თანხმადაც ნაკვეთი უნდა დაუბრუნდეს პირვანდელი (სასოფლო-სამეურნეო) დანიშნულებით. (დანართი N1-3)

ხულო-გოდერძის (კმ 80 -კმ 110) მონაკვეთის მშენებლობის მიზნებისთვის, კონტრაქტორ კომპანიას ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა N25 – ის , 6-ე პირობის შესრულების მიზნით, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილებით დამტკიცებული „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნათა შესაბამისად, მომზადებული და სამინისტროსთან შეთანხმებული აქვს სამშენებლო ბანაკის ტერიტორიის ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მართვისა და რეკულტივაციის პროექტი.(დანართი N1-4).

დაგეგმილი საქმიანობის ტერიტორიიდან უახლოესი მოსახლეობიდან დაშორებულია 1300 მეტრი მანძილით. ტერიტორიის სიახლოვეს არ მდებარეობს სხვა ინფრასტრუქტურული ობიექტები.

3. საქმიანობის მასშტაბი: საწარმოში იგეგმება წლიურად 60000მ³ (100000 ტ)-ის ოდენობის ინერტული მასალების წარმოება.

4. გამოყენებული დანადგარი: საწარმო აღჭურვება ინერტული მასალების დამხარისხებელი დანადგარის სათანადო კომპლექტით. კერძოდ, საცრელ-დამხარისხებელი დანადგარით, ქვიშა-ხრემის სამსხვრევი დანადგარებით (ვერტიკალური და ჰორიზონტალური სამსხვრევი), ასევე ლენტური ტრანსპორტიორებით, ბუნკერებით და ა.შ. რომელთა წარმადობა შეადგენს საათში 30 მ³-ს (50 ტ/სთ). საწარმოში იგეგმება მასალის დახარისხება და ორჯერადი მსხვრევა სველი წესით.

სამსხვრევის მოსაწყობად რაიმე მნიშვნელოვანი სამშენებლო სამუშაოებს ადგილი არ ექნება. მიწის ნაყოფიერი ფენის მოხსნის შემდგომ, ტერიტორიაზე განხორციელდება მოედნის მოსწორება და დატკეპნა, სადაც განთავსდება სამსხვრევი დანადგარი სათანადო კომპლექტაციით.

5. დანადგარების განთავსების კოორდინატები: X -290845; Y – 4613489;

6. საპროექტო წარმადობა: წლიურად 60000 კბ.მ.(100000 ტ) ქვიშა-ლორღის წარმოება;

7. მეთოდი: სველი

8. სამუშაო დღეთა რაოდენობა: 250 დღე

9. სამუშაო საათების რაოდენობა დღე-ღამეში: 8 სთ;

10. გამოყენებული რესურსები: ქვიშა-ხრემი-60000მ³. საწარმო ძირითადად მოახდენს

მიმდებარედ არსებული ლიცენზირებული კარიერებიდან შეყიდული მასალების შემოტანას და გადამუშავებას.

11. ტექნიკური წყლის წყალ-აღების კოორდინატები: $Y=291057.19$ $X=4613475.92$
12. საწარმოო წყლების წყალ- ჩაშვების კოორდინატები: $Y=290795.678$ $X=4613557.461$;
13. საწარმოო მიზნით გამოყენებული წყლის რაოდენობა: 30000-60000 მ³;
14. დაშორება უახლოესი დასახლებული პუნქტიდან: 1300მ;
15. გამოყენებული საწვავი: არ გამოიყენებს საწვავს
16. ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის ელემენტები: ქვიშა-ხრემის გადამუშავების პროცესის განსახორციელებლად დაპროექტებული და დამონტაჟებული საწარმოს ტექნოლოგიური და დამხმარე ინფრასტრუქტურის ელემენტები მოცემულია გენ.გეგმაზე(დანართი N1-5) ინერტული მასალის დამხარისხებელი დანადგარი შედგება ანაკრები ელემენტებისაგან, კერძოდ: საცრებისაგან, სამსხვრეველებისაგან, ბუნკერებისაგან, ლენტური ტრანსპორტიორებისაგან და ა.შ., რომლებიც ასაწყობ-დასაშლელი და მობილური სისტემისაა და მიწასთან დაკავშირებულნი არიან საკუთარი წონით ან/და მშრალი არამონოლითური ჩამაგრებით.
17. ტექნოლოგიური სქემა: ტექნოლოგიური პროცესი იწყება საწარმოს ტერიტორიაზე სატვირთო ავტომანქანებით ქვიშა-ხრემის შემოზიდვით, რომელიც საწყობდება სამსხვრევის საამქროს ჩასატვირთი ბუნკერის მიმდებარე ტერიტორიაზე, საიდანაც შემდეგ თვითდამტვირთველის საშუალებით ხვდება ჩატვირთვის ბუნკერში. (ან უმეტეს შემთხვევაში პირდაპირ მიეწოდება ჩატვირთვის ბუნკერებს, დამატებითი ხარჯების და გარემოზე ზემოქმედების(დამტვერიანება) შემცირების მიზნით). ბუნკერიდან ბალასტი ხვდება ცხავში(საცერში) სადაც ხდება გარეცხვა და წვრილი ფრაქციების გამოყოფა. მსხვილი ფრაქცია ლენტური ტრანსპორტიორით მიეწოდება ვერტიკალურ სამსხვრევს და სადაც ხორციელდება მასალის უხეშად დამსხვრევა. ვერტიკალური სამსხვრევიდან დამსხვრეული მასალა მიეწოდება საცრელ-დამხარისხებელ დანადგარს, აქ ნედლეული წყლით ირეცხება და ხარისხდება, 5 მმ-მდე დიამეტრის ფრაქცია ლენტური ტრანსპორტიორით ხვდება ღია სასაწყობო მოედანზე. 5-35 მმ დიამეტრის ფრაქცია მიეწოდება სპეციალურ გამანაწილებელ ბუნკერს, ხოლო 35 მმ-ზე მეტი დიამეტრის ფრაქცია მიეწოდება ჰორიზონტალურ სამსხვრევს, სადაც ხდება მისი წვრილ ფრაქციად დამსხვრევა და მეორე საცრელ-დამხარისხებელ დანადგარში გადატანა. მეორე საცრელ-დამხარისხებელ დანადგარიდან 0-5 მმ, 5-10 მმ, 10-20 მმ დიამეტრის პროდუქცია ხვდება ღია სასაწყობო მოედანებზე, ხოლო უფრო მსხვილი ფრაქციის ღორღი 20-40 მმ და 40 მმ მეტი დიამეტრის ღორღი გადაიტანება სპეციალურ გამანაწილებელ ბუნკერში და ხელახლა იმტვრევა ჰორიზონტალურ სამსხვრევში. სპეციალური გამანაწილებელი ბუნკერიდან კლასიფიკატორების გავლით მიღებული პროდუქცია თავსდება ღია

სასაწყობო მოედნებზე. ინერტული მასალა სამსხვრევებსა და კლასიფიკატორებს შორის გადაიზიდება ლენტური ტრანსპორტიორების საშუალებით.

საწარმოში ფუნქციონირებს 1 ცვლაში - 8 საათიანი ცვლის ხანგრძლიობით. წელიწადში სამუშაო დღეთა რაოდენობა არის 250 დღე, საწარმოში მუშაობს 5-მდე ადამიანი. დამახარისხებელ დანადგარს ემსახურება: დამტვირთველი, ექსკავატორი და თვითმცლელი.

საწარმო ენერგორესურსის სახით გამოიყენებს ელექტროენერგიას.

18. გარემოზე შესაძლო ზემოქმედება საწარმოს ფუნქციონირების პროცესში:

საწარმოს ექსპლოატაციის ეტაპზე გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ზემოქმედება შეიძლება გამოიხატოს ატმოსფერული ჰაერის ხარისხობრივი მდგომარეობის გაუარესებით; ხმაურის გავრცელებით; ნიადაგის, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების დაბინძურებით; ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედებით; ნარჩენების მართვის პროცესში მოსალოდნელი ზემოქმედებით და სხვა. დაგეგმილი სამუშაოების მცირე მასშტაბის და ხანგრძლივობის გათვალისწინებით სამშენებლო ეტაპზე გარემოზე ზემოქმედება განხილვას არ დაექვემდებარა.

ა. ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე:

საწარმოს საქმიანობის შედეგად ატმოსფეროში გამოიყოფა არაორგანული მტვერი. ტექნოლოგიური პროცესი წარმოებს სველი გრავიტაციული მეთოდით. ამის გამო უმნიშვნელოა მტვერის წარმოქმნა, როგორც სამუშაო ადგილებზე, ასევე გაფრქვევა ატმოსფერულ ჰაერში.

საწარმოს ფუნქციონირების პროცესში ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებათა დაბინძურების ძირითად წყაროებს წარმოადგენენ მიმღები ბუნკერი, ლენტური ტრანსპორტიორი, სამსხვრევი, ნედლეულის და მზა პროდუქციის საწყობები.(დანართი N1-5 -გენ-გეგმა)

ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობის ანგარიში- კანონმდებლობის თანახმად ემისიის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაანგარიშება შესაძლებელია განხორციელდეს ორი გზით:

1. უშუალოდ ინსტრუმენტული გაზომვებით;
2. საანგარიშო მეთოდის გამოყენებით,

ცხრილი N2-ში მოცემულია საწარმოს ფუნქციონირებისას წარმოქმნილი მავნე ნივთიერებების კოდი, ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების მნიშვნელობები, გაფრქვევის სიმძლავრეები და საშიშროების კლასი.

ცხრილი N2

კოდი	მავნე ნივთიერებათა დასახელება	ზღვრულად დასაშვების კონცენტრაცია მგ/მ3		მავნე ნივთიერებათა
		მაქსიმალური	საშუალო	

		ერთჯერადი	დღე-ღამური	საშიშროების კლასი
2909	ინერტული მასალის მტვერი	0.5	0.15	3

საწარმოს ფუნქციონირების შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მტვრის რაოდენობის ანგარიში განხორციელდა დარგობრივი მეთოდების საფუძველზე ანგარიში შესრულებულია საწარმოს მაქსიმალური დატვირთვის პირობებისათვის.

წინამდებარე დოკუმენტში გაანგარიშება შესრულებულია საანგარიშო მეთოდის გამოყენებით.

საწარმოს ფუნქციონირებისას ატმოსფერული ჰაერის დამაბინძურებელი წყაროები იქნება:

- ნედლეულის (ქვიშა-ხრეშის) ავტოთვითმცლელებიდან ჩამოცლა (გ-1);
- ნედლეულის (ქვიშა-ხრეშის) საწყობი (გ-2);
- ნედლეულის (ქვიშა-ხრეშის) სამსხვრევის ბუნკერში ჩაყრა (გ-3);
- სამსხვრევი დანადგარი (გ-4,);
- ინერტული მასალის(ქვიშა-ღორღი,) ლენტური ტრანსპორტიორით გადაადგილება (გ-5);
- ინერტული მასალების(ქვიშა-ღორღი;) საწყობი (გ-6);

• **მტვრის გაფრქვევის ანგარიში ნედლეულის(ქვიშა-ხრეში) ავტოთვითმცლელებიდან ჩამოცლისას(გაფრქვევის წყარო გ-1)**

ნედლეულის (ქვიშა-ხრეში) ავტოთვითმცლელებიდან ჩამოცლისას გამოყოფილი მტვრის რაოდენობა იანგარიშება ფორმულით:

$$M_{\text{მტვ}} = K_1 \times K_2 \times K_3 \times K_4 \times K_5 \times K_7 \times G \times B \times 10^6 / 3600 \text{ გ/წმ,}$$

სადაც,

K_1 -მასალაში მტვრის ფრაქციის წილია;

K_2 - მტვრის მთლიანი მასიდან აეროზოლში გადასული მტვრის წილია;

K_3 - მტვრის წარმოქმნაზე ქარის სიჩქარის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტი;

K_4 - გარეშე ზემოქმედებისაგან საწყობის დაცვითი უნარიანობის მახასიათებელი კოეფიციენტი;

K_5 - მტვრის წარმოქმნაზე მასალის სინოტივის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტი;

K_7 - გადასამუშავებელი მასალის ზომების მახასიათებელი კოეფიციენტი;

B - გადატვირთვის სიმაღლეზე დამოკიდებულების კოეფიციენტი;

G - გადასამუშავებელი მასალის რაოდენობა, ტ/სთ;

ზემოთ აღნიშნული კოეფიციენტების მნიშვნელობები საწარმოს კონკრეტული

პირობებისათვის წარმოდგენილია ცხრილ N3 -ში.

ცხრილი N3.

პარამეტრის დასახელება	აღნიშვნა	პარამეტრის მნიშვნელობა
		ქვიშა-ხრეში
მასალაში მტვრის ფრაქციის წილი	K ₁	0.01
მტვრის მთლიანი მასიდან აეროზოლში გადასული მტვრის წილი	K ₂	0,01
მტვრის წარმოქმნაზე ქარის სიჩქარის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტი	K ₃	1.2
გარეშე ზემოქმედებისაგან საწყობის დაცვით-უნარიანობის მახასიათებელი კოეფიციენტი	K ₄	1.0
მტვრის წარმოქმნაზე მასალის სინოტივის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტი	K ₅	0.01
გადასამუშავებელი მასალის ზომების მახასიათებელი კოეფიციენტი	K ₇	0.5
გადატვირთვის სიმალეზე დამოკიდებული კოეფიციენტი	B	0.5
გადასამუშავებელი მასალის რაოდენობა, ტ/სთ	G	50

ზემოთ აღნიშნულ ფორმულაში სათანადო მნიშვნელობების ჩასმით მივიღებთ:

$$M_{\text{მტვ}} = 0,01 \times 0,01 \times 1,2 \times 1,0 \times 0,01 \times 0,5 \times 0,5 \times 50 \times 10^6 / 3600 = 0.0044 \text{ გ/წმ}$$

$$G_{\text{მტვ}} = 0,0044 \times 2000 \times 3600 / 10^6 = 0.0288 \text{ ტ/წელი}$$

- **მტვრის გაფრქვევის ანგარიში ნედლეულის(ქვიშა-ხრეში) საწყობიდან (გაფრქვევის წყარო გ-2)**

ნედლეულის(ქვიშა-ხრეში) საწყობიდან გამოყოფილი მტვრის რაოდენობა იანგარიშება ფორმულით:

$$M_{\text{მტვ}} = K_3 \times K_5 \times K_6 \times K_7 \times q \times f \text{ გ/წმ}$$

სადაც

K₃- მტვრის წარმოქმნაზე ქარის სიჩქარის გავლენის მაჩვენებელი კოეფიციენტია;

K₅- მტვრის წარმოქმნაზე მასალის სინოტივის გავლენის მაჩვენებელი კოეფიციენტია;

K₆ - დასაწყობებული მასალის ზედაპირის პროფილის მაჩვენებელი კოეფიციენტია, მერყეობს 1,3-დან 1,6-მდე;

K_7 - გადასამუშავებელი მასალის ზომების მახასიათებელი კოეფიციენტი;

q - მტვრის წატაცების ინტენსიობაა 1 მ^2 ფაქტიური ზედაპირის ფართობიდან, $\text{გ/მ}^2 \text{ წმ}$;

f - ამტვერების ზედაპირია, მ^2

აღნიშნული კოეფიციენტების მნიშვნელობები საწარმოს კონკრეტული პირობებისათვის წარმოდგენილია ცხრილ N4 -ში.

ცხრილი N4

პარამეტრის დასახელება	აღნიშვნა	პარამეტრის მნიშვნელობა
		ქვიშა-ხრეში
მტვრის წარმოქმნაზე ქარის სიჩქარის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტი	K_3	1,2
მტვრის წარმოქმნაზე მასალის სინოტივის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტი	K_5	0,01
დასაწყობებული მასალის ზედაპირის პროფილის მახასიათებელი კოეფიციენტი	K_6	1,45
გადასამუშავებელი მასალის ზომების მახასიათებელი კოეფიციენტი	K_7	0,5
მტვრის წატაცების ინტენსიობა 1 მ^2 ფაქტიური ზედაპირის ფართობიდან $\text{გ/მ}^2 \text{ წმ}$	q	0,002
ამტვერების ზედაპირია	f	1000

ზემოთ აღნიშნულ ფორმულაში სათანადო მნიშვნელობების ჩასმით მივიღებთ:

$$M_{\text{მტვ}} = 1,2 \times 0,01 \times 1,45 \times 0,5 \times 0,005 \times 1000 = 0,0435 \text{ გ/წმ}$$

$$G_{\text{მტვ}} = 0,0435 \times 8760 \times 3600/10^6 = 1,3718 \text{ ტ/წელი}$$

- მტვრის გაფრქვევის ანგარიში ნედლეულის (ქვიშა-ხრეში) სამსახურევის ბუნკერში ჩაყრისას (გაფრქვევის წყარო გ-3)

ნედლეულის (ქვიშა-ხრეში) სამსახურევის ბუნკერში ჩაყრისას გამოყოფილი მტვრის რაოდენობა იანგარიშება ანალოგიურად გ-1 გაფრქვევის წყაროსი.

საწარმოს პირობებისათვის:

$$K_1 = 0,01 \quad K_2 = 0,01 \quad K_3 = 1,2; \quad K_4 = 1; \quad K_5 = 0,01; \quad K_7 = 0,5; \quad B = 0,5; \quad G = 50 \text{ ტ/სთ}$$

მაშინ:

$$M_{\text{მზ}} = 0,01 \times 0,01 \times 1,2 \times 1,0 \times 0,01 \times 0,5 \times 0,5 \times 50 \times 10^6 / 3600 = 0,0044 \text{ გ/წმ}$$

$$G_{\text{მზ}} = 0,0044 \times 2000 \times 3600 / 10^6 = 0,0288 \text{ ტ/წელი}$$

• **მტვრის გაფრქვევის ანგარიში სამსხვრევი დანადგარიდან
(გაფრქვევის წყარო გ-4,)**

სამსხვრევ დანადგარზე ხორციელდება ნედლეულის (ქვიშა-ხრეშის) პირველადი და მეორადი მსხვრევა სველი მეთოდით.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბერის დადგენილება №435 „დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტული მეთოდის, დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის დამდგენი სპეციალური გამზომ-საკონტროლო აპარატურის სტანდარტული ჩამონათვალისა და დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ტექნოლოგიური პროცესების მიხედვით ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის საანგარიშო მეთოდიკის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“-ის, დანართი 93-ის თანახმად ნედლეულის მშრალი მეთოდით პირველადი და მეორადი მსხვრევისას თითოეულ დამსხვრეულ ტონაზე ატმოსფერულ ჰაერში გამოიყოფა 0,009 კგ/ტ, მტვერი(4),

სველი მეთოდით 100000 ტ ინერტული მასალის დამუშავებისას:

$$G_{\text{მზ}} = 100000 \times 0,009 / 10^3 = 0,9 \text{ ტ/წელი}$$

ხოლო წამური გაფრქვევის რაოდენობა ტოლი იქნება:

$$M_{\text{მზ}} = 0,9 \times 10^6 / 2000 \times 3600 = 0,125 \text{ გ/წმ}$$

• **მტვრის გაფრქვევის ანგარიში ინერტული მასალების(ქვიშა, ღორღი) ლენტური
ტრანსპორტიორით გადაადგილებისას (გაფრქვევის წყარო გ-5)**

მასალების ლენტური ტრანსპორტიორით გადაადგილებისას მტვრის გაფრქვევები იანგარიშება ფორმულით:

$$M_{\text{მზ}} = W \times K \times B \times L \times 10^3 \text{ გ/წმ};$$

სადაც

W – ჰაერის შებერვით გამოწვეული მტვრის ხვედრითი გაფრქვევაა და ტოლია 3×10^{-5} კგ/მ²წმ;

K – ნედლეულის დაქუცმაცების კოეფიციენტი და ტოლია 0,1 მ–ის;

B – ლენტის სიგანეა და ტოლია 0,6 მ–ის

L – ლენტის ჯამური სიგრძეა და ტოლია 246მ ;

სათანადო მნიშვნელობების ჩასმით მივიღებთ:

$$M_{\text{მზ}} = 3 \times 10^{-5} \times 0,1 \times 0,6 \times 246 \times 10^3 = 0,44 \text{ გ/წმ}$$

$$G_{\text{მტვ}} = 0,44 \times 2000 \times 3600 / 10^6 = 3,168 \text{ ტ/წელი};$$

• **მტვრის გაფრქვევის ანგარიში ინერტული მასალების(ქვიშა, ღორღი) საწყობიდან (გაფრქვევის წყარო გ-6)**

ინერტული მასალების (ქვიშა, ღორღი)საწყობიდან გამოყოფილი მტვრის რაოდენობა იანგარიშება ანალოგიურად გ-2 გაფრქვევის წყაროსი.

აღნიშნული კოეფიციენტების მნიშვნელობები საწარმოს კონკრეტული პირობებისათვის წარმოდგენილია ცხრილ N5-ში

ცხრილი N5

პარამეტრის დასახელება	აღნიშვნა	პარამეტრის მნიშვნელობა	
		ქვიშა	ღორღი
მტვრის წარმოქმნაზე ქარის სიჩქარის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტი	K ₃	1,2	1,2
მტვრის წარმოქმნაზე მასალის სინოტივის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტი	K ₅	0,01	0,01
დასაწყობებულის მასალის ზედაპირის პროფილის მახასიათებელი კოეფიციენტი	K ₆	1,45	1,45
გადასამუშავებელი მასალის ზომების მახასიათებელი კოეფიციენტი	K ₇	0,6	0,5
მტვრის წატაცების ინტენსივობა 1 მ ² ფაქტიური ზედაპირის ფართობიდან გ/მ ² წმ	q	0,002	0,002
ამტვერების ზედაპირია	f	2000	2000

ზემოთ აღნიშნულ ფორმულაში სათანადო მნიშვნელობების ჩასმით მივიღებთ: ქვიშისათვის

$$M_{\text{მტვ}} = 1,2 \times 0,01 \times 1,45 \times 0,6 \times 0,002 \times 2000 = 0,04176 \text{ გ/წმ}$$

$$G_{\text{მტვ}} = 0,04176 \times 8760 \times 3600 / 10^6 = 1,3169 \text{ ტ/წელი}$$

ღორღისთვის

$$M_{\text{მტვ}} = 1,2 \times 0,01 \times 1,45 \times 0,5 \times 0,002 \times 2000 = 0,0348 \text{ გ/წმ}$$

$$G_{\text{მტვ}} = 0,0348 \times 8760 \times 3600 / 10^6 = 1,0974 \text{ ტ/წელი}$$

სულ:

$$M_{\text{მტვ}} = 0,038 \text{ გ/წმ}$$

$$G_{\text{მტვ}} = 2,4143 \text{ ტ/წელი}$$

მიღებული შედეგების ანალიზი

- საწარმოს ფუნქციონირებისას, ადგილის ექნება ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევას 6 არაორგანიზებული წყაროდან.
- საწარმოდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ და ატმოსფერული ჰაერის ხარისხის განმსაზღვრელ მავნე ნივთიერება იქნება მტვერი.
- საწარმოს მშენებლობის და ექსპლოატაციის ეტაპზე ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებით გამოწვეული ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი.
- სულ საწარმოს ფუნქციონირებისას ატმოსფერულ ჰაერში წლიურად მოსალოდენლი გაფრქვევა იქნება: 7,9117ტ. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა(მტვერი) გაფრქვევის პარამეტრები დაზუსტდება შესაბამის რეგლამენტში.

ბ. ხმაურის ზემოქმედება:

საწარმოს მუშაობის პროცესს თან დევს ხმაურის წარმოქმნა და გავრცელება, რამაც შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს გარემოზე და ადამიანებზე. საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე, ხმაურის წყაროს წარმოადგენენ ტექნოლოგიურ პროცესში ჩართული დანადგარ-მექანიზმები (სამსხვრევი, ცხაური, ტრანსპორტიორები და სხვ.). ასევე სატრანსპორტო საშუალებები, რომლითაც მოხდება ნედლეულის, პროდუქციის ტრანსპორტირება.

საწარმოში დამონტაჟებული დანადგარები, რომლებიც წარმოადგენენ ხმაურის წყაროს, არ აღემატება 85 დეციბელს. მაშინ ხმაურის ჯამური დონე კუმულაციური ზემოქმედების გათვალისწინებით იქნება:

$$L_j = 85 + 10 \lg n = 90 \text{ დბ.}$$

საწარმოს ტერიტორიიდან r – მანძილისათვის ბგერითი სიმძლავრის დონეების სიდიდეები ხმაურის დამცავი საშუალებების გარეშე მოცემულია ცხრილში .

ბგერითი სიმძლავრის დონეები

ოქტავური ზოლების საშუალო გეომეტრიული სიხშირე, ჰც	ბგერითი წნევის დონეები დეციბალებში, საწარმოდან r მანძილზე (მ)								
	100	200	300	400	500	600	700	800	900
63	42,00	35,98	32,46	29,96	28,2	26,44	25,1	23,94	22,92
125	41,93	35,84	32,25	29,68	27,67	26,02	24,61	23,38	22,29
250	41,85	35,68	32,01	29,36	27,27	25,54	24,05	22,74	21,57

500	41.70	35,38	31,56	28,56	26,52	24,64	23,00	21,54	20,22
1000	41.40	34,78	30,66	27,56	25,02	22,84	20,90	19,14	17,52
2000	40.80	33,58	28,86	25,16	22,02	19,24	16,70	14,34	12,12
4000	39.60	31,18	25,26	20,36	16,02	12,04	8,30	4,74	1,32
8000	37.20	26,38	18,06	10,76	4,02	-2,36	-3,7	0,00	0,00

გარდა ამისა ბგერის გავრცელების სიჩქარე დამოკიდებულია ჰაერის ტემპერატურასა და ქარის სიჩქარეზე, ხოლო ბგერის ჩახშობა განისაზღვრება ადგილის რელიეფით და ჰაერის ტენიანობით. ყოველივე აღნიშნული გათვალისწინებული იქნება აკუსტიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის საჭირო ღონისძიებების შემუშავების დროს.

როგორც ცხრილი დან ჩანს, ხმაურის დონე საწარმოდან 100 მეტრში ნორმაზე ნაკლებია დღის საათებისათვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საწარმოს მუშაობა დაგეგმილია მხოლოდ დღის საათებში.

საწარმოს განთავსების ადგილის გათვალისწინებით (1300მ დაშორება) მოსახლეობაზე ხმაურის უარყოფითი გავლენა არ არის მოსალოდნელი. მომუშავეებზე ხმაურის გავლენის შესამცირებლად საჭიროების შემთხვევაში გამოყენებული იქნება სმენის დამცავი ინდივიდუალური საშუალებები.

გ. ზემოქმედება ნიადაგის და გრუნტის ხარისხზე

საქმიანობის განსახორციელებლად შერჩეული ტერიტორია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთია(ს/კ ს/კ 23.01.33.385) და რომლების მეკატრონესთან გაფორმებულია იჯარის ხელშეკრულება დროებით სარგებლობაზე.

მიწის ნაყოფიერი ფენა მოხსნილია და დასაწყობებულია სამინისტროსთან შეთანხმებული რეკულტივაციის გეგმის შესაბამისად.(დანართი N 1-4)

კერძოდ, დაგეგმილი საქმიანობის და მიმდებარე ტერიტორია წარმოადგენს სუსტად დახრილ, საშუალოდ ეროზირებულ და დეგრადირებულ საძოვარს. ნიადაგთწარმომქმნელი ქანი წარმოდგენილია ვულკანოგენური და დანალექი ქანების გამოფიტვის პროდუქტებით. ნიადაგი მცირე სისქისაა, მცირე ჰუმუსიანი, სუსტად ალაგ კი საშუალოდ ხირხატიანია, თიხნარი მექანიკური შედგენილობის. ნიადაგის ჰუმუსიანი ზედა კორდიანი (Ad) და ნეშომპალიანი (A₀) ჰორიზონტი არ აღემატება 8 სანტიმეტრს.

საპროექტო ტერიტორია დაფარული იყო ბალახის ფენით მისი გამოყენება ხდებოდა საძოვრის დანიშნულებით.

მოსახსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის სიმძლავრიდან, ნიადაგის მექანიკური შემადგენლობიდან, ხირხატიანობის მაჩვენებლისგათვალისწინებით, სამშენებლო ბანაკის მოწყობამდე, ჯამში, ორივე უბნის 0.87 ჰა ფართობზე, მოხსნილია და 696 მ³ ნიადაგის ფენა და ტერიტორიის შიდა პერიმეტრშია დასაწყობებული. ტერიტორიაზე მოხსნილი

ნიადაგის დასაწყობება/განთავსების ადგილების ტოპოგრაფიული რუკები და GIS კოორდინატები რეკულტივაციის პროექტში დანართების სახით არის მითითებული.

დასაწყობებული ნიადაგი არ იქნება გამოყენებული სხვა მიზნებისათვის. სამშენებლო ბანაკების ტერიტორიაზე მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენა გამოყენებული იქნება იგივე ტერიტორიის აღსადგენად.

დაგეგმილი საქმიანობის დასრულების შემდგომ (2023 წ) საპროექტო ტერიტორიის რეკულტივაციის სამუშაოები ჩატარდება 2 ეტაპად, რომელიც მოიცავს ტექნიკურ რეკულტივაციას და ბიოლოგიურ რეკულტივაციას.

ტექნიკური რეკულტივაციის დროს მოხდება საპროექტო ტერიტორიის გასუფთავება, მოსწორება, ნიადაგის ფენით დაფარვა და არსებულ ლანდშაფტურ ელემენტებთან შეხამება.

ტექნიკური რეკულტივაციის ეტაპზე, პირველ რიგში, ტერიტორიიდან გატანილი იქნება ბანაკის მოწყობისთვის გამოყენებული შენობა-დანადგარები, საოფისე და საცხოვრებელი კონსტრუქციები. ტერიტორიიდან გაყვანილი იქნება ყველა სახის მძიმე და მსუბუქი ავტოსატრანსპორტო საშუალები. ტერიტორია გაიწმინდება საყოფაცხოვრებო და სამშენებლო (შენობა-ნაგებობების დემონტაჟი) ნარჩენებისგან. გასუფთავების შემდეგ, მოხდება ტერიტორიის მოსწორება და დასაწყობებული ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დისტრიბუცია.

ბიოლოგიური რეკულტივაციისას ტერიტორია პირვანდელ ან მიახლოებით პირვანდელ მდგომარეობამდე აღდგება. აღდგება ნიადაგური საფფარი, აღდგება არსებული მცენარეულობა. გაუმჯობესდება ლანდშაფტის ვიზუალურ-ესთეტიკური მხარე.

აღდგენილი ტერიტორიაზე კორდის შექმნის პროცესის დაჩქარების მიზნით დაითესება კონდარის ჯიშის (Lolium) შემცველი ბალახის თესლის მიქსტურით. ტერიტორიის ბუნებრივ-კლიმატური პირობებიდან გამომდინარე ბალახის დათესვამდე და დათესვის შემდეგ განხორციელდება რეკულტივირებული ფართობების პერიოდული მორწყვა.

მიწის ნაყოფიერი ფენის მოხსნის სამუშაოების დასრულების შემდგომ დაგეგმილი საქმიანობის ტერიტორიაზე იგეგმება ქვიშა-ხრემოვანი საფარის მოწყობა, რომელიც შეასრულებს დრენაჟის ფუნქციას და ასევე დაიცავს გრუნტს შემთხვევით დაღვრების შემთხვევაში დაბინძურებისაგან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ზემოქმედება ლანშაფტზე, ნიადაგზე და გრუნტის ხარისხზე იქნება უმნიშვნელო როგორც საწარმოს მოწყობისას და ექსპლოატაციისას, ასევე სამუშაოების დასრულების შემდგომ.

დ. ზემოქმედება ზედაპირულ წყლებზე

საწარმოს მოწყობისას და ფუნქციონირებისას წყლის გამოყენება მოხდება საწარმოო და სასმელ - სამეურნეო დანიშნულებით.

საწარმოო დანიშნულებით წყალ მომარაგება - საწარმოო დანიშნულებით ტექნიკური წყლის აღება ხორციელდება, საწარმოს მიდებარედ დანისპარაულის ღელედან.

წყლის ამოღება/მიღება მოხდება ღელეს პირას ხელოვნურად მოწყობილ ბეტონის ჭიდან. წყალაღების ადგილის კოორდინატებია: $Y=291057.19$ $X=4613475.92$. ჭის სიღრმე 2 მეტრი იქნება, ხოლო მოცულობა 2-3მ³. ჭა მოეწყობა რკინა-ბეტონის ერთმანეთზე დადგმულ 2 სარტყელების(ე.წ. „რკინა-ბეტონის კალიცოებს“) მეშვეობით. ჭაში მდინარიდან წყალი შევა თვითდინებით 30 სმ დიამეტრის და 4 მ სიგრძის პოლიეთილენის მილით. ჭაში მოხდება წყლის აკუმულირება (შეგროვება), რომ შესაძლებელი იყოს წყლის ელექტრო-ტუმბოს მეშვეობით სამსხვრევის სტაბილური მომარაგება. აღებულ წყალში ცოცხალი ორგანიზმების მოხვედრის თავიდან ასაცილებლად მილის თავი დაფარულია ბადით, რომლის თვალის სიდიდე 0,1 სმ-ია.(მწერდამჭერი ბადე).

ჭიდან წყლის ამოქაჩვა ხორციელდება საყოფაცხოვრებო დანიშნულების ელექტრო-ტუმბოს მეშვეობით და საწამომდე მივა 200 მმ დიამეტრის პოლიეთილენის მილით, რომელიც განთვსდება მიწის ზემოდან. წლიურად ამოღებული წყლის რაოდენობა იქნება 30000მ³. წყლის გამოყენება მოხდება საწარმოს წარმადობის პროპორციულად. რაც დღიურად იქნება 120-240მ³, ხოლო საათში იქნება მაქსიმუმ 30მ³.

დანისპარაულის ღელის საშუალო წლიური ხარჯი 2-3 მ³/წმ. საწარმოსათვის საჭირო წყლის რაოდენობა პროცენტულად შეადგენს $8,3/2000*100=4\%$ -ს.

სასმელ-სამეურნეო წყლით მომარაგება - საწარმოს სასმელი წყლით მომარაგება განხორციელდება ჩამოსხმული(ბუტილიზირებული) წყლის მეშვეობით და ადგილობრივი წყალმომარაგების სისტემიდან. 10 დასაქმებულის სასმელი წყლით უზრუნველსაყოფად წლიურად შეძენილი იქნება $10*3ლ*250=7500$ ლ წყალი.

სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებული წყლის რაოდენობა დამოკიდებულია დასაქმებული პერსონალის რაოდენობაზე და საწარმოს მუშაობის რეჟიმზე. საწარმოში დასაქმებული იქნება 10-მდე ადამიანი, ხოლო წელიწადში სამუშაო დღეების რაოდენობა შეადგენს 250-ს. ვინაიდან ერთ მომუშავე პერსონაზე სამეურნეო მიზნებისათვის დღის განმავლობაში საჭირო წყლის რაოდენობად გათვალისწინებული 45 ლ, ანუ 0,045 მ³ წყალი, სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებული წყლის ჯამური რაოდენობა იქნება:

$$10კაცი \times 0,045 \text{ მ}^3/\text{დღ} = 0,45 \text{ მ}^3/\text{დღ}$$

$$0,45\text{მ}^3/\text{დღ} \times 250 \text{ დღ} = 112,5 \text{ მ}^3/\text{წელ}$$

საწარმოო ჩამდინარე წყლები - ინერტული მასალის რეცხვისას და სამსხვრევე-დამხარისხებელ დანადგარში სველი წესით მსხვრევისას საჭიროა 30000მ³/წელ წყალი. საწარმოო დანიშნულებით ქვიშა-ხრემის გასარეცხად საჭირო ტექნიკური წყლის აღება ხორციელდება, საწარმოს მიდებარედ არსებული დანისპარაულის ღელედან.

ტექნოლოგიურ პროცესში(ქვიშა-ხრემის რეცხვისას) გამოყენებული წყალი იკრიბება

საწარმოო მოედანზე მოწყობილი შემკრები ღარებით და მიეწოდება სამ კამერიან ჰორიზონტალურ სალექარებს. სალექარების ზომებია: 1. სალექარი - 3 x2x5მ; 2. სალექარი - 3 x2x5მ; 3.სალექარი -3 x2x5მ; მ სალექარების საერთო მოცულობა იქნება 90 მ³.

სამსხვრევ-დამხარისხებელი საამქროს საწარმოო ჩამდინარე წყლები დაბინძურებულია შეწონილი ნაწილაკებით (საწარმოო ჩამდინარე წყლებში შეწონილი ნაწილაკების შემცველობა დაახლოებით არის 700-800 მგ/ლ). საწარმოს წარმადობიდან გამომდინარე 1 საათში გამოყენებულია მაქსიმუმ 30მ³ წყალი. სალექარის მოცულობა უზრუნველყოფს წყლის 3 სთ-ით გაჩერებას, რაც საკმარისი დროა წყალში არსებული შეწონილი ნაწილაკების დალექვისათვის. სალექარები უზრუნველყოფს ჩამდინარე წყლების 60 მგ/ლ-მდე გაწმენდას.

სალექარის ნალექისაგან გაწმენდა ხდება შევსების მიხედვით, მაგრამ არაუგვიანეს კვირაში ერთხელ. ამოღებული ნალექის გაუწყლოება ხორციელდება სალექარის მიმდებარე ტერიტორიაზე, მოწყობილ მოედანზე, საიდანაც ნაწრეტი წყლი ჩაემვება სალექარში. სალექარებში დაწმენდილი წყალი ჩაედინება ღელე დანისპარაულში. წყალჩაშვების წერტილი კოორდინატებია: Y=290795.678 X=4613557.461;

აღებული, ისე ჩაშვებული წყლის რაოდენობა თვეების მიხედვით ასეთია:

იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	სულ
2,5	2,5	2,5	2,5	2,5	2,5	2,5	2,5	2,5	2,5	2,5	2,5	30,0 ამოღება
2,0	2,0	2,0	2,0	2,0	2,0	2,0	2,0	2,0	2,0	2,0	2,0	24,0 ჩაშვება

სალექარების პარამეტრები და მათში არსებული დაწმენდილი წყლის რაოდენობა საშუალებას იძლევა მოხდეს მისი ხელმეორედ გამოყენება საწარმოო მიზნებისათვის(ინერტული მასალების დასველება/დანამვისათვის, საწარმოს ტერიტორიის და მისასვლელი გზის ამტვერების საწინააღმდეგო ღონისძიებების განსახორციელებლად და სხვა), ამიტომ გამოყენებული წყლის ზედაპირულ წყლის ობიექტში ჩაშვება ხდება მხოლოდ ჭარბი წყლის რაოდენობის წარმოქმნის შემთხვევაში, რაც სავარაუდოდ წლიურად მაქსიმუმ 24000მ³ - ია.

სანიაღვრე ჩამდინარე წყლები - სანიაღვრე ჩამდინარე წყლები წარმოიქმნება ატმოსფერული ნალექების დროს.

სანიაღვრე ჩამდინარე წყლების მოცულობა იანგარიშება ფორმულით:

$$Q=10 \times F \times H \times K$$

სადაც:

Q - სანიაღვრე წყლების მოცულობა მ³/დღ;

F - ტერიტორიის ფართობი ჰა-ში, მიღებულია 0,15ჰა. (ტერიტორიის ის ნაწილი, სადაც მოსალოდნელია დაბინძურებული სანიაღვრე წყლების წარმოქმნა ღია ტერიტორიის

ფართობი);

H - ნალექებზე მრავალწლიანი დაკვირვებით ხულოს რაიონში ნალექების წლიურ მაქსიმალურ რაოდენობად მიღებულია 1000-1200მმ, ნალექების დღე-ღამური მაქსიმუმი შეადგენს 110მმ, წვიმის საათურ მაქსიმუმად მიღებულია - 12 მმ.

K - კოეფიციენტი, რომელიც დამოკიდებულია საფარის ტიპზე, რაც მოცემულ შემთხვევაში(ხრემის საფარისათვის) აღებულია 0,04.

აღნიშნულიდან გამომდინარე სანიაღვრე წყლების რაოდენობა ტოლი იქნება:

$$Q_{წელ} = 10 \times 0,15 \times 1100 \times 0,04 = 66\text{მ}^3/\text{წელ}$$

$$Q_{დღ} = 10 \times 0,15 \times 110 \times 0,04 = 6,6\text{მ}^3/\text{დღ}$$

$$Q_{სთ} = 10 \times 0,15 \times 12 \times 0,04 = 0,72\text{მ}^3/\text{სთ}$$

სანიაღვრე წყლები, რომელიც შესაძლებელია დაბინძურებული იყოს შეწონილი ნაწილაკებით.

სულ საწარმოს ჩამდინარე წყლების ხარჯი ტოლი იქნება:

$$\text{წლიური } 24+66 = 90 \text{ მ}^3/\text{წელ};$$

სანიაღვრე წყლების შეგროვება არსებულ რელიეფის ტოპოგრაფიის(დახრის) მხედველობაში მიღებით, მოხდება ტერიტორიაზე მოწყობილი შემკრები არხებით, რომლებიც შეგროვდება(თავს მოიყრის) სალექარებში.

სალექარების პარამეტრები და მათში არსებული დაწმენდილი წყლის რაოდენობა საშუალებას იძლევა მოხდეს მისი ხელმეორედ გამოყენება საწარმოო მიზნებისათვის(ინერტული მასალების რეცხვა/დანამვისათვის, საწარმოს ტერიტორიის და მშენებარე გზის მონაკვეთის ამტვერების საწინააღმდეგო ღონისძიებების განსახორციელებლად და სხვა), ამიტომ გამოყენებული წყლის ზედაპირულ წყლის ობიექტში ჩაშვება მოხდება მხოლოდ ჭარბი წყლის რაოდენობის წარმოქმნის შემთხვევაში, რაც სავარაუდოთ იქნება წლიურად მაქსიმუმ 24000მ³ -მდე. საწარმოს მიერ გაწმენდილი წყლის ჩაშვება განხორციელდება დანისპარაულის ღელეში.

სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების მართვა - საწარმოში წარმოქმნილი სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების რაოდენობა იანგარიშება მოხმარებული წყლის 5%-იანი დანაკარგით, რაც შეადგენს: $112,5\text{მ}^3/\text{წელ} \times 0,05 = 5,625\text{მ}^3/\text{წელ}$ (წლიური დანაკარგი) შესაბამისად, საწარმოში წლის განმავლობაში წარმოქმნილი სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლის რაოდენობაა: 5,625მ³

აღნიშნული წყლების შესაგროვებლად ტერიტორიაზე განთავსებულია 5მ³ ტევადობის წყალგაუმტარი ორმო, (ნახმარი წყლების წყალშემკრები ავზი/რეზერვუარი), რომელზეც ასევე დაერთებულია ტუალეტის კანალიზაცია. ორმოს გაწმენდა მოხდება შევსების შესაბამისად და მოხდება ამ წყლების გატანა შესაბამისი ნებართვის საფუძველზე და ქ. ახალციხის გამწმენდ ნაგებობაში ჩაშვება.

ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, ინერტული მასალების დამუშავების საწარმოს მოწყობის და ექსპლუატაციის ფაზებზე წყლის გარემოზე ზემოქმედების რისკი შეიძლება შეფასდეს, როგორც დაბალი ხარისხის ზემოქმედება.

ე. ნარჩენებით გარემოს დაბინძურების რისკები:

საწარმოში წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვება მოხდება კონტეინერული სისტემის გამოყენებით. უზრუნველყოფილი იქნება არასახიფათო(მუნიციპალური) და ინერტული ნარჩენების შეგროვდება ცალ-ცალკე. მუნიციპალურ ნარჩენების გატანაზე გაფორმებულია ხელშეკრულება ხულოს მუნიციპალური დასუფთავების სამსახურთან. საწარმოს ტერიტორიაზე მოწყობილი იქნება ნარჩენების განთავსებისათვის უბანი, სადაც განთავსებული იქნება ნაგვის ურნები დასტიკერებული სხვადასხვა ნარჩენებისთვის ინდივიდუალურად.

სახიფათო ნარჩენები - იქიდან გამომდინარე, რომ კომპანიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამართვა არ ხდება ობიექტის ტერიტორიაზე სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა მოსალოდნელი არ არის. თუმცა ობიექტის ტერიტორიაზე განთავსებული იქნება სახიფათო ნარჩენების განთავსებისთვის შესაბამისი ჰერმეტიკული კონტეინერი. სახიფათო ნარჩენის წარმოქმნის შემთხვევაში, მისი გატანა მოხდება შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიის მიერ.

რაც შეეხება საწარმოს ფუნქციონირებისას წარმოქმნილ ინერტულ ნარჩენებს რომლებიც წარმოიქმნება ლამის სახით სალექარების გასუფთავებისას. ასეთი ინერტული ნარჩენის რაოდენობა იქნება წლიურად 5-10 ტ, რაც დროებით დასაწყობდება საწარმოს ტერიტორიაზე, რომლის ნაწილის გამოყენებაც შემდგომში მოხდება დაგეგმილი საქმიანობის ტერიტორიის ტექნიკური რეკულტივაციისათვის, ასევე საწარმოს ტერიტორიამდე მიმავალი გზის მოსასწორებლად.

დაგეგმილი საქმიანობისას წარმოქმნილი ნარჩენების მართვა განხორციელდება კომპანიის მიერ სამინისტროსთან შეთანხმებული ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად. (დანართი N1-6)

ვ. ზემოქმედება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე:

დაგეგმილი საქმიანობის ტერიტორია მდებარეობს ხულო-გოდერძის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ. ახალი გზების მოწყობა არ არის საჭირო. საწარმოს ნედლეულით მომარაგება და მასალების გატანაც მოხდება ამავე გზის გამოყენებით. აღნიშნული გზა არ გამოირჩევა სატრანსპორტო ნაკადების სიხშირით, რის გამოც ადგილი არ ექნება გზებზე დატვირთვის გაიზრდას.

საწარმოს შიგნით უკვე არსებობს შიდა გრუნტის გზები, რომელთა ნორმალურ მდგომარეობაში შენახვას უზრუნველყოფს დაგეგმილი საქმიანობის განმხორციელებელი. ასევე საჭიროების შემთხვევაში ამტვერების თავიდან ასაცილებლად მოახდენს გზების

მორწყვას.

ზ.ფაუნა და ფლორა

საპროექტო ტერიტორია თავისუფალია ხე მცენარეებისაგან, რაც გამორიცხავს საწარმოს ექსპლოატაციის პროცესში მცენარეულ საფარზე რაიმე სახის ზემოქმედებას.

საპროექტო ტერიტორიიდან სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორია დაშორებულია 100მ-მეტი მანძილით. რაც გამორიცხავს საწარმოს საქმიანობისას ტყის ფონდზე უშუალო ზემოქმედებას. გარდა ამისა, საწარმოს ექსპლოატაციის დროს საწარმოს ტერიტორიის გარეთ რაიმე სახის სამუშაოები არ იგეგმება.

საკვლევი ტერიტორიის სიახლოვეს წითელ წიგნისა და წითელი ნუსხის სახეობები, ან კონსერვაციული ღირებულების ეგზემპლარები ვერ იქნა გამოვლენილი.

საწარმოს უშუალო გავლენის ზონაში არ აღინიშნება ბუნებრივ პირობებში გავრცელებულ გარეულ ცხოველთა სახეობები. ასევე თითქმის გამორცხულია მათი საწარმოს ტერიტორიაზე მოხვედრაც, რადგან საწარმო იქნება შემოღობილი.

ადგილობრივ ფაუნაზე, მოსალოდნელი არაპირდაპირი ზემოქმედება დაკავშირებულია ხმაურის და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გავრცელებასთან. ექსპლუატაციის პირობში ადგილი არ ექნება მაღალი ხმაურწარმომქმნელი წყაროს ან ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების გადაჭარბებას დადგენილ ნორმებთან. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ფლორაზე და ფაუნაზე ზემოქმედება შეიძლება შეფასდეს უმნიშვნელოდ.

თ. ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე :

საპროექტო არეალიდან 500მ-ში (პირდაპირი მანძილი) მდებარეობს გოდერძის ნამარხი ტყის ბუნების ძეგლი. თუმცა დაცულ ტერიტორიამდე მთების სახით არსებობს ბუნებრივი ბარიერი, რის გამოც დაგეგმილი საქმიანობა ზეგავლენას ვერ მოახდენს დაცულ ტერიტორიაზე.

ი. სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება :

საწარმო ფუნქციონირებით გარკვეულ წვლილს შეიტანს სოციალური პირობების გაუმჯობესებაში. საწარმოში და მის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ დასაქმებულთა რიცხვი დიდი არ იქნება(დაახლოებით 10-მდე ადამიანი), მაგრამ ქვეყანაში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით დადებითად იმოქმედებს ადამიანების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

ქვეყანაში არსებული საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფო ბიუჯეტში გადაიხდის მასზე დაკისრებულ გადასახადებს, რაც დადებითად აისახება ადგილობრივ ბიუჯეტზე.

დაგეგმილ საქმიანობის განხორციელებას ასევე გააჩნია ირიბი სოციალური ზეგავლენაც. კერძოდ პროექტი - შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბათუმი (ანგისა)-ახალციხის

საავტომობილო გზის ხულო-გოდერძის მონაკვეთის რეაბილიტაცია, რომლის ფარგლებშიც იგეგმება საწარმოს მოწყობა, მნიშვნელოვანია საქართველოს რეგიონული განვითარების თვალსაზრისით, რადგანაც სამომავლო პერსპექტივაში მისი გაგრძელებით ხულოს რაიონი უმოკლესი გზით დაუკავშირდება ადიგენის, ახალციხის და ბორჯომის ადმინისტრაციულ ერთეულებს. უმნიშვნელოვანესია კურორტ გოდერძის და ბემუმის განვითარებისათვის, რის გამოც მნიშვნელოვანი როლის შესრულება მოუწევს ქვეყნის სოციალური და ეკონომიკურ-კულტურული განვითარების თვალსაზრისით.

კ. ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე:

საწარმოს ექსპლოატაციის პროცესში ადამიანების (იგულისხმება როგორც მომსახურე პერსონალი, ასევე მიმდებარე მაცხოვრებლები) ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე უარყოფითი ზემოქმედება პირდაპირი სახით მოსალოდნელი არ არის.

ლ. საქმიანობასთან ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედება:

საპროექტო ტერიტორიიდან დაახლოებით 100 მეტრის დაშორებით მდებარეობს, კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი (ს/კ: 23.01.33.385), რომელზეც განთავსებულია და ფუნქციონირებს ამავე კომპანიის კუთვნილი ტექნოლოგიური დანადგარები და მიმდინარეობს ბეტონის წარმოება.


საწარმოს სპეციფიკაციიდან და წარმადობიდან გამომდინარე (60000 მ³ ბეტონი წელიწადში), რაც დაკავშირებულია ატმოსფერულ ჰაერში 1,3104ტ ინერტული მასალის მტვრის და 0,2752ტ ცემენტის მტვრის გაფრქვევასთან, ობიექტის ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ არსებული საწარმოში წარმოქმნილი ხმაური და ასევე გაფრქვეული მავნე ნივთიერებები უმნიშვნელო ხასიათისაა და კანონით დადგენილი ნორმების გადაჭარბებას ადგილი არ ექნება.

მიმდებარე ტერიტორიაზე გარდა ზემოთ აღნიშნული საწარმოსი, სხვა სამრეწველო ობიექტები არ არსებობს, რის გამოც ასეთი ზემოქმედების საფრთხე არ არსებობს.

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები:

ვიზუალური შეფასებით, ტერიტორიაზე და მის სიახლოვეს (1კმ) არ ფიქსირდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი.

დანართი N1-1- საწარმოს განთავსების სიტუაციური გეგმა





საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის



KA060196199318016

ბრძანება №258

ქ. თბილისი

25 / მაისი / 2016 წ.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბათუმი (ანგისა) - ახალციხის საავტომობილო გზის ხულო-გოდერძის მონაკვეთის (კმ 80 - კმ 110) მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ

„გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა № 25; 24.05.2016 საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბათუმი (ანგისა) - ახალციხის საავტომობილო გზის ხულო-გოდერძის მონაკვეთის (კმ 80 - კმ 110) მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე.
2. ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა გაიცემა განუსაზღვრელი ვადით;
3. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა უზრუნველყოს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით (№ 25; 24.05.2016) გათვალისწინებული პირობების შესრულება;
4. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტს;
5. ბრძანება ძალაში შევიდეს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
6. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში- საქართველოს მთავრობაში (თბილისი, ინგოროყვას ქუჩა N7) ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

5/25/2016

საქართველოს ეროვნული არქივი

მინისტრი



გიგლა აგულაშვილი



საქართველოს ბარემოსა და ბუნებრივი რესურსების
დაცვის სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL AND NATURAL RESOURCES PROTECTION OF GEORGIA

საქართველო, 0114, თბილისი, გულუას ქ. 6, ტელ: 272-72-00, 272-72-20 ფაქსი: 272-72-37

ეკოლოგიური ექსპერტიზის

დასკვნა პროექტზე

№ 25

24 მაისი 2016 წ

1. საერთო მონაცემები

1. საქმიანობის დასახელება – შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბათუმი (ანგისა) - ახალციხის საავტომობილო გზის ხულო - გოდერძის მონაკვეთის (კმ 80 - კმ 110) მშენებლობა და ექსპლუატაცია.
2. საქმიანობის განმახორციელებლის დასახელება და მისამართი – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო საავტომობილო გზების დეპარტამენტი, ქ.თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი N12.
3. საქმიანობის განხორციელების ადგილმდებარეობა – ხულოს მუნიციპალიტეტის ტერიტორია.
4. განაცხადის შემოსვლის თარიღი – 10.05.2016 წ.
5. მონაცემები პროექტის შემდგენელის შესახებ – ფონდი „მსოფლიო გამოცდილება საქართველოსათვის“ TRANSPROJECT Ltd .

2. ძირითადი საპროექტო გადაწყვეტილებები:

ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მიღების მიზნით, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილია შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბათუმი (ანგისა) - ახალციხის საავტომობილო გზის ხულო - გოდერძის მონაკვეთის (კმ 80 - კმ 110) მშენებლობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში.

გზმ-ს ანგარიშის თანახმად:

შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბათუმი (ანგისა) - ახალციხის საავტომობილო გზის ხულო - გოდერძის (კმ 80 - კმ 110) მონაკვეთი მდებარეობს ხულოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. საპროექტო მონაკვეთი იწყება კმ 80 ნიშნულზე, დაბა ხულოსთან და რამოდენიმე მომცრო სოფლის გავლის შემდეგ, მთავრდება კმ 110 ნიშნულზე, გოდერძის უღელტეხილისკენ მიმავალი აღმართის დაწყებამდე. გზის მაღალმთიან ზონაში მდებარე უბნები ძალზედ მიხვეულ-მოხვეულია და რამდენიმე დიდი დახრილობის აღმართს მოიცავს. გზის საპროექტო მონაკვეთის სიგრძეა 30 კმ.

საპროექტო გზის მიმდებარე ტერიტორიის ნაწილი წარმოდგენილია სასოფლო-სამეურნეო სავარგულებით (სათიბები, საძოვრები, სახნავი), რომელთა უმრავლესობა სუსტად და საშუალოდ ეროზირებულია. დანარჩენი ნაწილი კი წარმოდგენილია ბუნებრივი ტყით დაფარული ლანდშაფტით.

ნიადაგთწარმომქმნელი ქანები ძირითადად წარმოდგენილია ვულკანოგენური და დანალექი ქანებით და მათი გამოფიტვის პროდუქტებით.

გზის საპროექტო მონაკვეთი ცუდ მდგომარეობაშია და საჭიროებს რეაბილიტაციას, ზოგიერთი უბნის რეკონსტრუქციასთან ერთად. კერძოდ, გზის საპროექტო მონაკვეთზე არსებული საფარი ძირითადადში ხრეშიანია, გზის მცირე ცალკეულ მონაკვეთებში საფარი ასფალტბეტონისაა, რომელიც არის გაცვეთილი, დაორმოებული, ნაწიბურები დაზიანებული. გზის სავალი ნაწილი სადრენაჟო სისტემის არ არსებობის გამო ჩახრამულია, დარღვეულია განივი პროფილის ქანობები. საფარის ზედაპირზე აღინიშნება სხვადასხვა სახის დაზიანებები და დეფექტები. წყალგამტარი მიწები მოითხოვს გაწმენდას და აღდგენას, მათი უმრავლესობა უნდა შეიცვალოს ახალი მიწებით. აღსადგენია არსებული ხიდები, მრუდების გასწორების მიზნით საჭიროა გზის ვაკისის ლოკალური წანაცვლება ზოგ ადგილას, 2 არსებული ხიდის რეაბილიტაცია და 2 ხიდის ადგილზე ახალი ხიდის და სპეციფიკური მილის მშენებლობა.

ალტერნატიული ვარიანტების განხილვისას უპირატესობა მიენიჭა არსებული გზის მიმართულებით გზის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის ვარიანტს.

წარმოდგენილი გზშ-ს ანგარიშის თანახმად გზის პროექტირებისას მიღებულია შემდეგი ძირითადი პარამეტრები:

- მოძრაობის ზოლების რაოდენობა: 2
- ზოლის სიგანე: 3,00 მ
- სავალი ნაწილის სიგანე: 6,00 მ
- გვერდულის სიგანე: 1,50 მ (მათ შორის 0,5 მ საფარიანი)
- გზის სრული სიგანე: 9,00 მ

განხილულია საკვლევი ტერიტორიის გეოლოგიური გარემოს აღწერა. წარმოდგენილია ინფორმაცია საინჟინრო-გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობების შესახებ დეტალური ინფორმაცია.

საპროექტო გზა ჰკვეთს 10 მეწყრულ უბანს და ღვარცოფულ ხევეებს. ხიდები და წყალგამტარები დაპროექტებულია მდინარეების ხარჯების და ნატანი მასალის მასის გათვალისწინებით.

მეწყრული პროცესების შესარბილებლად პროექტი ითვალისწინებს ყოველ მეწყრულ უბანზე სადრენაჟო სისტემების მოწყობას ზედაპირული წყლების მოსაშორებლად და ანტიეროზიული ღონისძიებების განხორციელებას (გეოტექსტილით და ბერმებით ფერდობების დამაგრება).

ჰიდროგეოლოგიური დარაიონების მიხედვით საკვლევი რაიონი მიეკუთვნება აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემის წნევიანი წყლების ზონაში მოქცეულ აჭარა-იმერეთის ნაპრალური წნევიანი წყლების რაიონს.

ჰიდროგეოლოგიური თვალსაზრისით აღნიშნული რეგიონი წყალუხვია და არსებული გზის გასწვრივ ფიქსირდება გრუნტისა და მიწისწვეშა წყლები.

ტექტონიკური დარაიონების მიხედვით, საკვლევი რაიონი შედის აჭარა – თრიალეთის ნაოჭა სისტემის ოლქის, სამხრეთი ზონაში, კერძოდ ახალციხის ქვეზონაში.

საავტოობილო გზის ტრასის უდიდეს მონაკვეთზე სამი ბიო-გეოგრაფიული ზონის ელემენტების არსებობისა და ცხოველთა შერეული საზოგადოებების გამო განხილულ რაიონში დიდი რაოდენობით ფიქსირდება დაცული და ენდემური სახეობები.

საპროექტო ტერიტორიაზე ცნობილი არქეოლოგიური უბნები დადგენილ იქნა არსებული ტრასის გაყვანისას საბჭოთა პერიოდში. წინასწარი კვლევის შესაბამისად, ყველაზე მოსალოდნელი არქეოლოგიური ადგილსაპოვნები წარმოდგენილია სოფ.

ბეშუმის, დანისპარაულის, პაქსაძეების მიმდებარე ტერიტორიაზე. მიუხედავად ამისა, არ არის გამორიცხული, რომ სამშენებლო სამუშაოების წარმოებისას, არქეოლოგიური არტეფაქტები აღმოჩენილ იქნას გზის სხვა მონაკვეთებზეც. აქედან გამომდინარე, აუცილებელი დიდი ყურადღების გამოჩენა და არქეოლოგიური ზედამხედველობის განხორციელება სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოებისას იმ უბნებზე, სადაც არსებული გზა უნდა გაფართოვდეს. საავტომობილო გზების დეპარტამენტი კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან თანამშრომლობით ახორციელებს მშენებლობის ნებართვის მოსაპოვებლად საჭირო არქეოლოგიურ კვლევებს საპროექტო ტერიტორიაზე.

პროექტის განხორციელებისას, მიწის 567-მდე კერძო ნაკვეთი (234 787 ჰა) იქნება შეძენილი. ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მოსახლეობას გადაეხდება სათანადო კომპენსაცია დაკარგული მიწის, უძრავი ქონების, ხეების და ერთწლიანი მოსავლის ასანაზღაურებლად. მიწის ფართობების შექმნა განხორციელდება განსახლების სამოქმედო გეგმის შესაბამისად.

წარმოდგენილი გზშ-ს ანგარიშის თანახმად სამშენებლო კონტრაქტორი მიიღებს გადაწყვეტილებებს, რაც უკავშირდება დამხმარე სამშენებლო ობიექტებს (სტრუქტურა, შემადგენლობა, მდებარეობა, დაპროექტება და სხვ.). მიუხედავად ამისა, E-60 ტრასის მონაკვეთებზე სამშენებლო საქმიანობის ორგანიზაციის გამოცდილების მიხედვით, სავარაუდოა, რომ აშენდება დამხმარე სამშენებლო ობიექტების კომპლექსი, მათ შორის - სამშენებლო ბანაკი 50 მუშის დასაბინავებლად (დაახლ. 0.75 ჰა ფართობის), ტრანსპორტისა და აღჭურვილობის ეზო 25-მდე ერთეული სატრანსპორტო საშუალებისა და მძიმე სამშენებლო ტექნიკისათვის (დაახლ. 1 ჰა) (ბულდოზერები, ექსკავატორები, ამწეები და სხვ.) და ბეტონის ასფალტო-ბეტონის ქარხანა (დაახლ. 1 ჰა).

ანგარიშის თანახმად თუ მშენებელი კონტრაქტორი მიიღებს გადაწყვეტილებას, საკუთარი ასფალტო-ბეტონის ქარხნის მონტაჟისა და ოპერირების შესახებ, მან უნდა მოამზადოს შესაბამისი გზშ-ს ანგარიშის და მიიღოს გარემოზე ზემოქმედების ნებართვა.

სამშენებლო სამუშაოების პროცესში წყალი გამოყენებული იქნება სასმელ - სამეურნეო და ტექნიკური დანიშნულებით. ტექნიკური წყლის ამოღება მოხდება მდ. აჭარისწყლიდან ან გამოყენებულ იქნება გრუნტის წყალი.

მშენებლობის ფაზაში ძირითადი საწარმოო ჩამდინარე წყლები წარმოიქმნება ავტომობილების და მოძრავი სპეცტექნიკის რეცხვისას, რისთვისაც პროექტით გათვალისწინებულია YCB-M-20 ტიპის დანადგარის მოწყობა.

მშენებლობის ეტაპზე ადგილი ექნება სხვადასხვა ტიპის ნარჩენების წარმოქმნას. სამშენებლო, საყოფაცხოვრებო და სახიფათო ნარჩენების დროებითი დასაწყობება მოხდება განცალკევებით, შესაბამისი წესების დაცვით. საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა მოხდება ხელშეკრულების საფუძველზე მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე, ხოლო სახიფათო ნარჩენები შემდგომი მართვისათვის გადაეცემა სათანადო ნებართვის მქონე კონტრაქტორებს.

გზშ-ს ანგარიშს თან ერთვის შემარბილებელი ღონისძიებების, ნარჩენების მართვის, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების, გარემოსდაცვითი მენეჯმენტისა და გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმები.

ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების შედეგად გამოვლენილი პირობები ასახულია წინამდებარე დასკვნის III თავში.

III. პირობები

საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია:

1. უზრუნველყოს გზშ-ს ანგარიშით წარმოდგენილი შემარბილებელი ღონისძიებების, ნარჩენების მართვის გეგმის, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის, გარემოსდაცვითი მენეჯმენტისა და გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმების შესრულება მშენებლობისა და ექსპლუატაციის პერიოდში;
2. სამშენებლო სამუშაოების დაწყების და ასევე ექსპლუატაციაში შესვლისთანავე აცნობოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს;
3. მშენებლობის დაწყებამდე სახელმწიფო ტყის ფონდის მართვას დაქვემდებარებულ ფართობებზე ნებისმიერი ქმედება განახორციელოს კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად და უზრუნველყოს აღნიშნული საკითხის შეთანხმება ტყის ფონდის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან;
4. მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს სარეაბილიტაციო გზის კმ 80 - კმ 110 მონაკვეთებზე ჰიდროგეოლოგიური კვლევების წარმოება და მათი დაცვის მიზნით სათანადო ღონისძიებების შემუშავება. ასევე, არსებული ჰიდროლოგიური პირობების დეტალურად შესწავლა და წყალდიდობების, წყალმოვარდნების და ღვარცოფების შეფასება. ამასთანავე უზრუნველყოს მდინარეების მიერ ტერიტორიების დატბორვის რისკის ქვეშ მყოფი ზონების იდენტიფიცირება და ტოპოგრაფიულ რუკაზე დატანა;
5. მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს სახიდე გადასასვლელებთან დეტალური ჰიდროლოგიური კვლევების წარმოება და ასევე, მდინარეების როგორც ზოგადი, ისე ადგილობრივი წარეცხვის სიდიდეების დადგენა და წარმოდგენა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში;
6. მშენებლობის ეტაპზე უზრუნველყოს „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულება;
7. პროექტის განხორციელების მიზნით ასფალტის ქარხნის განთავსების შემთხვევაში, უზრუნველყოს ასფალტის წარმოებაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის/გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მიღება და კანონით დადგენილი პროცედურების დაცვა.
8. საპროექტო ტერიტორიაზე ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონალური წყაროების (ბეტონის კვანძი) არსებობის შემთხვევაში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად უზრუნველყოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან „ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონალური წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში“-ს შეთანხმება;

9. საპროექტო გზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყლის ამოღების ან/და ზედაპირული წყლის ობიექტში წყალჩაშვების შემთხვევაში, უზრუნველყოს ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყლის ამოღების პირობების და ზედაპირულ ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ნორმების პროექტის შემუშავება ჩაშვების წერტილის მითითებით და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან შეთანხმება;
10. მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს ნაყარისა და სამშენებლო ინერტული მასალის დასაწყობების ზუსტი კოორდინატების წარმოდგენა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში;
11. მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს ბიომრავალფეროვნების მართვისა და მონიტორინგის გეგმის შემუშავება, სადაც ცხოველთა სახეობებზე შესაძლო უარყოფითი ზეგავლენა შეფასებული იქნება კონკრეტული სახეობების მიხედვით. ასევე, საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს დამატებითი შემაჩბილებელი/საკომპენსაციო ღონისძიებების შემუშავება;
12. სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე განსაზღვრული იქნას ჭრას დაქვემდებარებული ხე-მცენარეების რაოდენობა სახეობების მიხედვით. საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილ სახეობებთან მიმართებით ქმედებები უნდა განხორციელდეს საქართველოს "წითელი ნუსხისა" და "წითელი წიგნის" შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად;
13. ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში დასკვნის გადაცემა განახორციელოს „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

IV. დასკვნა

ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მიღების მიზნით, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილი, შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბათუმი (ანგისა) - ახალციხის საავტომობილო გზის ხულო - გოდერძის მონაკვეთის (კმ 80 - კმ 110) მშენებლობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მიხედვით, საქმიანობის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ წინამდებარე დასკვნის III თავში გათვალისწინებული პირობების დაცვით.

გარემოზე ზემოქმედების ნებართვების
დეპარტამენტის უფროსი

თამარ შარაშიძე

(სახელი, გვარი)



(ხელმოწერა)



მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტი
Land handover and acceptance certificate

ხულო/Khulo

03.04.2021

ერთის მხრივ, „შპს კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალი საქართველოში“-ს (ს/ნ 404859122) დირექტორის წარმომადგენელი ქინგიუ ლი (შემდგომში "მოიჯარე") და მეორეს მხრივ, გულნარა პაპიძე, (პ/ნ 52801027986), ვეფხვია პაპიძე (პ/ნ: 61009011087), თამილა პაპიძე (პ/ნ: 52001024742), მანუჩარ პაპიძე (პ/ნ: 61009027114), მეგი პაპიძე (პ/ნ: 52001024732), მერი პაპიძე (პ/ნ: 61009014445), რომან პაპიძე (პ/ნ: 52401026229), შალვა პაპიძე (პ/ნ: 61554001595), შემდგომში - "მეიჯარე", საქართველოს სამოქალაქო კოდექსით მინიჭებული უფლებისა და ნების თავისუფალი გამოვლენის საფუძველზე, ვაფორმებთ მიღება-ჩაბარების აქტს შემდეგზე:

On the one hand, the representative of „Sinohydro corporation limited branch in Georgia I/N 404859122 Qingyou Li (hereafter referred as “Lessee”) and On the other hand, Gulnara Papidze, (ID 52801027986), Vepkhvia Papidze (ID: 61009011087), Tamila Papidze (ID: 52001024742), Manuchar Papidze (ID: 61009027114), Megi Papidze (ID: 52001024732), Meri Papidze (ID: 61009014445), Roman Papidze (ID 52401026229), Shalva Papidze (ID: 61554001595), (hereinafter referred as “Lessor”) On the basis of consent and voluntarily regarding to the Georgian rules and laws mainly the right granted by the Civil Code of Georgia, have concluded this handover and acceptance certificate as flowing:

1. მეიჯარე გადასცემს მოიჯარეს მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: 23.01.33.385) დროებით სარგებლობაში, სამშენებლო ბაზის მოსაწყობად,
The lessor handovers to the lessee right of temporary usage of the land plot (cadastral code: 23.01.33.385) to arrange construction site.
2. მოიჯარე იღებს ვალდებულებას მიწის ნაკვეთის სარგებლობის დასრულების შემდეგ მოახდინოს საიჯარო ტერიტორიის რეკულტივაცია.
The lessee undertakes to recultivate the leased area after the end of the land use.
3. მეიჯარე თანახმაა, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებული პროექტის საფუძველზე განხორციელდეს მიწის ნაკვეთის რეკულტივაცია.
The lessor agrees that the land should be recultivated on the basis of a project agreed with the Ministry of Environment Protection and Agriculture of Georgia.
4. მიღება-ჩაბარების აქტი შედგენილია ინგლისურ და ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 იდენტურ ეგზემპლარად.
The handover and acceptance form is drawn up in English and Georgian language identical two copies with equal legal force.

მეიჯარეები/The Lessors:

გულნარა პაპიძე, (პ/ნ 52801027986), ვეფხვია პაპიძე (პ/ნ: 61009011087), თამილა პაპიძე (პ/ნ: 52001024742), მანუჩარ პაპიძე (პ/ნ: 61009027114), მეგი პაპიძე (პ/ნ: 52001024732), მერი პაპიძე (პ/ნ: 61009014445), რომან პაპიძე (პ/ნ: 52401026229), შალვა პაპიძე (პ/ნ: 61554001595)
Gulnara Papidze, (ID 52801027986), Vepkhvia Papidze (ID: 61009011087), Tamila Papidze (ID: 52001024742), Manuchar Papidze (ID: 61009027114), Megi Papidze (ID: 52001024732), Meri Papidze (ID: 61009014445), Roman Papidze (ID 52401026229)

მოიჯარე/The Lessees:

„შპს კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალი საქართველოში“ (ს/ნ 404859122)
Sinohydro corporation limited branch in Georgia (I/N 404859122)

პროექტის მენეჯერი/Project manager

ქინგიუ ლი/ Qingyou Li



Handwritten signatures of the lessors in Georgian script.



გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 11241/01
29/10/2021

11241-01-2-202110291440



საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის
სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის
თავმჯდომარის მოადგილეს ქალბატონ სალომე წურწუმიას

ასლი: გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს

ქალბატონო სალომე,

თქვენი წერილის (N2-08/16031 27.09.2021) პასუხად, რომლითაც წარმოდგენილია შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბათუმი (ანგისა)-ახალციხის საავტომობილო გზის, ხულო-გოდერძის მონაკვეთის (ლოტი1) მშენებლობისა და ექსპლუატაციის ფარგლებში, სამშენებლო ბანაკების ტერიტორიების ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მართვისა და რეკულტივაციის პროექტი, გაცნობებთ, რომ სამინისტრო თანახმაა პროექტით განსაზღვრული სარეკულტივაციო სამუშაოები განხორციელდეს შემდეგი პირობების დაცვით:

1.საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა, საქმიანობის განხორციელების პროცესში, მათ შორის სამშენებლო ბანაკის მოწყობისას უზრუნველყოს „შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბათუმი (ანგისა)-ახალციხის საავტომობილო გზის ხულო-გოდერძის მონაკვეთის (კმ 80-კმ 110) მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 26 ნოემბრის №2-1096 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (2016 წლის 24 მაისის №25 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა) დადგენილი პირობების დაცვა.

„ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მე-3 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილ რეკულტივაციის პროექტების სატიტულო ფურცელზე, ზედა მარჯვენა ნაწილში, „ვამტკიცებ“-ში მითითებული უნდ იყოს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ან დეპარტამენტის შესაბამისი უფლებამოსილი სამსახური.

დამატებით გაცნობებთ, რომ „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31

დეკემბრის N424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად, რეკულტივაციის ან/და კონსერვაციის სამუშაოების დამთავრების შემდეგ საქმიანობის სუბიექტი ვალდებულია, ამის თაობაზე ინფორმაცია წარუდგინოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს. ობიექტების რეკულტივაცია ან კონსერვაცია დამთავრებულად ითვლება ინფორმაციის ადგილზე გადამოწმების შემდეგ უფლებამოსილი ორგანოს (საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი) მიერ შესაბამისი აქტის შედგენით, ხოლო საქმიანობის სუბიექტი, რომელიც აწარმოებს დეგრადირებული ნიადაგის რეკულტივაციას, პროექტით განსაზღვრული პირობების სამუშაოების არახარისხიანი, ეკოლოგიური და სხვა სტანდარტების წესების და ნორმების დაუცველობისას პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პატივისცემით,

გიზო ჭელიძე



პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
ჰიდრომელიორაციისა და მიწის მართვის დეპარტამენტი



საქართველოს რეგიონული
განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის სამინისტრო
საქართველოს საავტომობილო
გზების დეპარტამენტი



Ministry of Regional
Development and Infrastructure of Georgia

**ROADS DEPARTMENT
OF GEORGIA**

0160, თბილისი, ალ. ჯაბუგის გამზ. №12
ტელ: (995 32) 237-62-16
E-mail: info@georoad.ge

12 Kazbegi ave., 0160 Tbilisi, Georgia
Tel: (995 32) 237-62-16
E-mail: info@georoad.ge

N 2-08/18970
16/11/2021

18970-2-08-2-202111161443



To: Mr. Roberto Baroncini
Team Leader of IRD Engineering S.r.l
Address: Mikheil Asatiani N5, 4th floor, Saburtalo, Tbilisi, Georgia
E-mail: robertobaroncini@yahoo.it;
Irdgeorgia@irdeng.com;
supervision_geo009@irdeng.com

✓
To: Mr. Li Qingyou
Team Lider Sinohydro Corporation Limited
Address: N22 G. Panjikidze str. Tbilisi, Georgia
E-mail: 16jhhhkz42@powerchina.cn

We would like to inform you that on October 29, 2021 the Roads Department of Georgia (hereinafter - RD) received the letter №11241/01 from the Ministry of Environmental Protection and Agriculture of Georgia (hereinafter - MEPA) regarding the Dump Sites documentation prepared by the contractor of the Rehabilitation/Reconstruction works of Khulo-Zarzma section (lot 1) (km5+195 -km29+732).

Please, see attached file the letter from the MEPA, review and submit accordingly.

Attachment: 02 (two) page.

Sincerely,

Salome Tsurtsunia
Deputy Chairperson





“შეთანხმებულია”

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ჰიდრომელიორაციისა და მიწის მართვის დეპარტამენტის უფროსი გიზო ჭელიძე

„-----“ 2021 წ.

“ვამტკიცებ”

„შპს კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალი საქართველოში“-ს

(ს/ნ 404859122) დირექტორი

პენგ ჰე

„-26“

2021 წ.



შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბათუმი (ანგისა) - ახალციხის საავტომობილო გზის ხულო-გოდერძის მონაკვეთის (კმ 80 -კმ 110) მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტი



სამშენებლო ბანაკების ტერიტორიების ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მართვისა და რეკულტივაციის პროექტი

შემსრულებელი - „შპს კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალი საქართველოში“

დირექტორი: პენგ ჰე

2021 წ.



№	სარჩევი	გვერდი
	შესავალი	3
1.	რეკულტივაციის პროექტში გამოყენებული ძირითად ტერმინთა განმარტებანი	4
2.	კანონმდებლობა და გამოყენებული ლიტერატურა	5
3.	გამონამუშევარი ქვაბულის რეკულტივაციის გეგმა	6
4.	აღდგენილი (რეკულტივირებული) ტერიტორიის მცენარეული და ნიადაგის საფარის დაცვა და მართვა	11
5.	სარეკულტივაციო სამუშაოების გეგმა/გრაფიკი	11
6.	სარეკულტივაციო სამუშაოების შედეგები	12
	დანართები	13

შესავალი

საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება ქვეყნის უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს წარმოადგენს. ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით, ტურისტული ინფრასტრუქტურის (მათ შორის ზამთრის კურორტების) განვითარებას ერთერთი მნიშვნელოვანი როლი ენიჭება, ამ მხრივ კი, როგორც სახელმწიფო ასევე, ადგილობრივი მნიშვნელობის საგზაო ქსელის გაუმჯობესება მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. სატრანსპორტო სექტორის განვითარება აუცილებელია სათანადო ეკონომიკური ზრდისთვის და საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად. შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბათუმი (ანგისა) - ახალციხის საავტომობილო გზის სრული რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის შემდეგ მნიშვნელოვანი სავაჭრო-ტურისტული ფუნქცია ექნება და ხელს შეუწყობს აჭარისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებს შორის ადგილობრივი მოსახლეობის, ტურისტული ნაკადებისა და ტვირთების შეუფერხებელ გადაადგილებას. აღნიშნული გზის მშენებლობა უდიდესი მნიშვნელობა ექნება ზამთრის კურორტის, გოდერძის განვითარებისთვის, რადგან ბევრად გაადვილებს სამთო-სათხილამურო სპორტის მოყვარულთათვის კურორტზე წვდომას.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაკვეთით (კონტრაქტის №BARP/CS/QCBS-01) ბათუმი (ანგისა) - ახალციხის საავტომობილო გზის ხულო-გოდერძის (კმ 80 -კმ 110) მონაკვეთის სამშენებლო სამუშაოებს შეასრულებს უცხოური საწარმო, შპს კორპორაცია სინოჰიდრო (Sinohydro Corporation Limited), რომელიც საქართველოში წარმოდგენილია მისი ფილიალის, „შპს კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალი საქართველოში“-ს სახით (ს/ნ 404859122).

ხულო-გოდერძის (კმ 80 -კმ 110) მონაკვეთის მშენებლობის მიზნებისთვის, კონტრაქტორ კომპანიას მოუწევს სამშენებლო ბანაკების მოწყობა, რაც თავის მხრივ დაკავშირებულია ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე ზემოქმედებასთან. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილებით დამტკიცებული „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნათა შესაბამისად, მომზადებული იქნა სამშენებლო ბანაკების ტერიტორიების ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მართვისა და რეკულტივაციის პროექტი.

1. რეკულტივაციის პროექტში გამოყენებული ძირითად ტერმინთა განმარტებანი

ძირითად ტერმინთა განმარტებანი

№	ტერმინი	განმარტება
1	ნიადაგი	დედამიწის ფხვიერი ზედა ნაწილი, რომელიც შექმნილია ქანების, კლიმატის, ბიოსფეროს, რელიეფის ხნოვანების და ადამიანის სამეურნეო საქმიანობის ურთიერთქმედებით.
2	დეგრადირებული ნიადაგი	ნიადაგი, რომლის ბიოლოგიური თვისებები გაუარესებულია, ხოლო ეკონომიური მაჩვენებლები დაცემულია სხვადასხვა ფაქტორთა ზემოქმედების შედეგად;
3	ნიადაგის ნაყოფიერი ფენა	ნიადაგის პროფილის ზედა ჰუმუსოვანი ნაწილი, რომელიც შეიცავს ზრდა-განვითარებისათვის ხელსაყრელ ქიმიურ, ფიზიკურ და აგროქიმიურ თვისებებს;
4	რეკულტივაცია	სხვადასხვა ფაქტორთა ზემოქმედების შედეგად დაზიანებული (დეგრადირებული) მიწების აღდგენა პირვანდელ ან/და მიახლოებულ პირვანდელ მდგომარეობამდე
5	მიწის ტექნიკური რეკულტივაცია	ნიადაგის რეკულტივაციის ეტაპი, რომელიც მოიცავს დარღვეული ზედაპირის მომზადებას ბიოლოგიური რეკულტივაციის განხორციელების მიზნით;
6	მიწის (ნიადაგის) რეკულტივაციის ბიოლოგიური ეტაპი (ბიოლოგიური რეკულტივაცია)	მიწის რეკულტივაციის ეტაპი, რომელიც ხორციელდება ტექნიკური რეკულტივაციის შემდეგ და მოიცავს აგროტექნიკურ, ფიტო-მელიორაციულ და კომპლექსურ ღონისძიებებს, რომელიც მიმართულია მიწის სამეურნეო პროდუქტიულობის აღსადგენად;
7	სამთო გადამუშავების ნარჩენები	კარიერებზე მუშაობის და მინერალური რესურსების მოპოვების, გადამუშავებისა და შენახვის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენები;

2. კანონმდებლობა და გამოყენებული ლიტერატურა

ხულო-გოდერძის (კმ 80 -კმ 110) მონაკვეთის სამშენებლო ბანაკების ტერიტორიების რეკულტივაცია/აღდგენა და ნიადაგის დაცვა განხორციელდება საქართველოში მოქმედი გარემოსდაცვითი კანონმდებლობის და რეგლამენტების დაცვით, კერძოდ:

1. საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ (10.12.1996);
2. საქართველოს კანონი „ნიადაგის დაცვის შესახებ“ (12.05.1994);
3. საქართველოს კანონი „სასოფლო/სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო/სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო მიწის ათვისების ღირებულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ“;
4. „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ (ტექნიკური რეგლამენტი, საქართველოს მთავრობის დადგენილება N 424, (31.12.2013);
5. შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბათუმი (ანგისა) – ახალციხის საავტომობილო გზის ხულო - გოდერძის (კმ 80 - კმ 110) მონაკვეთის მშენებლობის (ლოტი 1) გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში.


3. სამშენებლო ბანაკების რეკულტივაციის გეგმა

3.1 მოკლე მიმოხილვა დაგეგმილი და მიმდინარე საქმიანობის შესახებ

ხულო-გოდერძის (კმ 80 -კმ 110) მონაკვეთის სიგრძე შეადგენს 30 კმ-ს, გზის საფარი აღნიშნულ მონაკვეთზე ზლიერ დაზიანებულია და საჭიროებს სრულ რეაბილიტაციას. მშენებლობის პროექტის ფარგლებში, აღდგება 2 არსებული ხიდი და აშენდება 2 ახალი ხიდი, ზოგიერთ უბანზე მრუდების გასწორების მიზნით მოხდება გზის ვაკისის ლოკალური წანაცვლება. სამშენებლო სამუშაოების ხანგძლივობის ვადა არის 24 თვე, შესაბამისად კონტრაქტორ კომპანიას, ტექნიკისა და პერსონალის მობილიზაციის მიზნით მოუწევს დროებითი სამშენებლო ბანაკების მოწყობა.

წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაცია შეეხება ხულოს მუნიციპალიტეტში, ს. დანისპარაულის ტერიტორიაზე სამშენებლო ბანაკის აღდგენის ტექნიკური და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების შემუშავებას.

კონტრაქტორი კომპანიის გადაწყვეტილებით სამშენებლო ბანაკი მოეწყობა 2 ლოკაციაზე (იხ. სიტუაციური ნახაზი):



ნახ. №1: საპროექტო ტერიტორიის სიტუაციური რუკა

1-ლი უბანი (ბეტონის სამქრო, ინერტული მასალების სასაწყობო მოედანი) -0.47 ჰა, აღნიშნული უბანი მოიცავს მიწის ნაკვეთებს საკადასტრო კოდებით: ს/კ 23.01.33.385, ს/კ 23.01.33.041, ს/კ23.01.33.086.

მე-2 უბანი (ადმინისტრაციული ოფისი, საცხოვრებელი) -0.4 ჰა, აღნიშნული უბანი მოიცავს მიწის ნაკვეთს საკადასტრო კოდით, ს/კ 23.01.33.046. ზემოთ აღნიშნული მიწის ნაკვეთები არის კერძო საკუთრებაში და მათი გამოყენება მოხდება მხარეთა შორის არსებული შეთანხმების საფუძველზე.

საპროექტო ტერიტორიის, ორივე უბანი განთავსებულია ერთ გეოგრაფიულ არეალში და ხასიათდება მსგავსი გეომორფოლოგიური, ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური პირობებით.

სამშენებლო ბანაკების ტერიტორიის აღდგენისთვის გამოყენებული იქნება, მშენებლობის დაწყებამდე ამ ტერიტორიაზე მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენა.

„ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილების მე-3 მუხლის 1-ლი და მე-8 პუნქტების შესაბამისად კონტრაქტორი კომპანია იღებს ვალდებულებას აღადგინოს სამშენებლო ბანაკების ტერიტორია პირვანდელ ან/და პირვანდელთან მიახლოებულ მდგომარეობამდე.

ცხრილი №1

ზოგადი ინფორმაცია

1	საქმიანობის განმახორციელებელი	საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, წარმოდგენილი მისი კონტრაქტორი კომპანიით- შპს კორპორაცია სინოჰიდრო (Sinohydro Corporation Limited),
2	საინდეტიფიკაციო კოდი	404859122
3	მისამართი	ქ. თბილისი, გ.ფანჯიკიძის ქ. #22, „ა“ ბლოკი, 1-ლი სართული,
4	საკონტაქტო ინფორმაცია	+995 595 000226 ელ.ფოსტა:eiasinohydro@gmail.com

5	ინფორმაცია საქმიანობის შესახებ	გზების მშენებლობა
6	ლიცენზიის/ნებართვის ნომერი	<p>ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის (№ 25; 24.05.2016 წ.)</p> <p>ბრძანება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ #2-1096 26.11.2020წ.</p>

3.2 პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების ხანგრძლივობა და ვადები

კლიმატური პირობების გათვალისწინებით, სამშენებლო ბანაკების მოწყობა დაგეგმილია 2021 წლის ზაფხულისთვის, ხოლო სარეკულტივაციო სამუშაოების დაწყება განსაზღვრულია 2023 წლის გაზაფხულზე, ხულო-გოდერძის მონაკვეთის სამშენებლო სამუშაოების სახელშეკრულებო ვადის დასრულების შემდეგ.

სამუშაოების მასშტაბების გათვალისწინებით ტექნიკური რეკულტივაციის დასრულება დაგეგმილია 2023 წლის 01 მაისამდე, ხოლო საბოლოო ბიოლოგიური რეკულტივაცია დამთავრდება 2023 წლის 01 ივლისამდე.

რეკულტივაციის პროექტის მიხედვით სამუშაოები დაყოფილია 2 ეტაპად:

- ა) ტექნიკური რეკულტივაცია;
- ბ) ბიოლოგიური რეკულტივაცია;

3.3 მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის ადგილმდებარეობა (გეოგრაფიული) და მოცულობა (მ³)

სამშენებლო ბანაკებსა და მიმდებარე ტერიტორია წარმოადგენს სუსტად დახრილ, საშუალოდ ეროზირებულ და დეგრადირებულ საძოვარს. ნიადაგთწარმოქმნელი ქანი წარმოდგენილია ვულკანოგენური და დანალექი ქანების გამოფიტვის პროდუქტებით. ნიადაგი მცირე სისქისაა, მცირე ჰუმუსიანი, სუსტად ალაგ კი საშუალოდ ხირხატიანია, თიხნარი მექანიკური შედგენილობის. ნიადაგის ჰუმუსიანი ზედა კორდიანი (Ad) და ნეშომპალიანი (A0) ჰორიზონტი არ აღემატება 8 სანტიმეტრს.

საპროექტო ტერიტორია დაფარულია ბალახის ფენით მისი გამოყენება ხდება საძოვრის დანიშნულებით.

მოსახსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის სიმძლავრიდან, ნიადაგის მექანიკური შემადგენლობიდან, ხირხატიანობის მაჩვენებლისგათვალისწინებით, სამშენებლო ბანაკის მოწყობამდე, ჯამში, ორივე უბნის 0.87 ჰა ფართობზე, დაგეგმილია 696 მ³ ნიადაგის მოხსნა და ტერიტორიის შიდა პერიმეტრში დასაწყობება.

3.4 ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნისა და დასაწყობების ადგილები

სამშენებლო ბანაკის მოწყობამდე მოხსნილი ნიადაგი (696 მ³) განთავსებული იქნება საპროექტო ტერიტორიის პერიმეტრზე.

პროექტის ფარგლებში მოსახსნელი ნიადაგის დასაწყობება/განთავსების ადგილების ტოპოგრაფიული რუკები და GIS კოორდინატების ელექტრონული ვერსიები რეკულტივაციის პროექტში დანართების სახით არის წარმოდგენილი.

3.5 ნიადაგის ნაყოფიერი ფენის სხვა დანიშნულებით გამოყენება

დასაწყობებული ნიადაგი არ იქნება გამოყენებული სხვა მიზნებისათვის. სამშენებლო ბანაკების ტერიტორიაზე მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენა გამოყენებული იქნება იგივე ტერიტორიის აღსადგენად.

3.6 სამშენებლო ბანაკების ტერიტორიის რეკულტივაცია (აღდგენა)

სარეკულტივაციო ტერიტორია წარმოდგენილია სუსტად დახრილი რელიეფით და შესაბამისად გეოდინამიკის თვალსაზრით დამატებითი სამუშაოებს არ საჭიროებს.

საპროექტო ტერიტორიის რეკულტივაციის სამუშაოები მოიცავს ორ ეტაპს:

- ტექნიკურ რეკულტივაციას
- ბიოლოგიურ რეკულტივაციას

3.6.1 ტექნიკური რეკულტივაცია

ტექნიკური რეკულტივაციის მიზანი და მოთხოვნები:

ტექნიკური რეკულტივაციის მიზანია, საპროექტო ტერიტორიის გასუფთავება, მოსწორება, ნიადაგის ფენით დაფარვა და არსებულ ლანდშაფტურ ელემენტებთან შეხამება.

ტექნიკური რეკულტივაციის ეტაპზე, პირველ რიგში, ტერიტორიიდან გატანილი იქნება ბანაკის მოწყობისთვის გამოყენებული შენობა-დანადგარები, საოფისე და საცხოვრებელი კონსტრუქციები. ტერიტორიიდან გაყვანილი იქნება ყველა სახის მძიმე და მსუბუქი ავტოსატრანსპორტო საშუალები. ტერიტორია გაიწმინდება საყოფაცხოვრებო და სამშენებლო (შენობა-ნაგებობების დემონტაჟი) ნარჩენებისგან. სახიფათო ნარჩენების არსებობის შემთხვევაში, მათი გატანისა და განთავსების ოპერაციები განხორციელდება შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. გასუფთავების შემდეგ, მოხდება ტერიტორიის მოსწორება და დასაწყობებული ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დისტრიბუცია.

3.6.2 ბიოლოგიური რეკულტივაცია

ბიოლოგიური რეკულტივაციის მიზანია:

- პირვანდელ ან მიახლოებით პირვანდელ მდგომარეობამდე აღდგეს ნიადაგის საფარი,
- აღდგეს არსებული მცენარეულობა.
- გაუმჯობესდეს ლანდშაფტის ვიზუალურ-ესთეტიკური მხარე.

ბიოლოგიური რეკულტივაციის ეტაპზე :

- აღდგენილი ტერიტორიაზე კორდის შექმნის პროცესის დაჩქარების მიზნით დაითესება კონდარის ჯიშის (*Lolium*) შემცველი ბალახის თესლის მიქსტურით,
- ტერიტორიის ბუნებრივ-კლიმატური პირობებიდან გამომდინარე ბალახის დათესვამდე და დათესვის შემდეგ განხორციელდება რეკულტივირებული ფართობების პერიოდული მორწყვა;
- მოზნევით შეტანილი იქნება აზოტიანი სასუქი;

4. აღდგენილი (რეკულტივირებული) ტერიტორიის ნიადაგის საფარის დაცვა და მართვა

ნიადაგის დაცვის კუთხით ზემოთ ჩამოთვლილი კანონებისა და ტექნიკური რეგლამენტის გათვალისწინებით დაცული იქნება შემდეგი მოთხოვნები და სტანდარტები:

- ნიადაგის ნაყოფიერი ფენის შეტანის სამუშაოები არ განხორციელდება წვიმიან ამინდში და მაშინაც, როდესაც ნიადაგი გაჯერებულია წყლით.
- დასაწყობებული ნიადაგის ნაყოფიერი ფენა სპეციალური ნიშნებით იქნება გამოყოფილი რათა თავიდან აცილებული იქნეს ნიადაგის ნაყოფიერი ფენის აღრევა სამშენებლო მასალებთან ან სხვა ფუჭ ქანებთან.

სარეკულტივაციო სამუშაოები ჩატარდება ტექნიკური და ნიადაგის ბიოლოგიური რეკულტივაციის ღონისძიებების სრული ციკლის გათვალისწინებით.

5. სარეკულტივაციო სამუშაოების გეგმა/გრაფიკი

სარეკულტივაციო სამუშაოების დაწყება დაგეგმილია 2023 წლის გაზაფხულზე, ხოლო დასრულება 2023 წლის 01 ივლისამდე, სამუშაოთა წარმოების გრაფიკი მოცემული ცხრილში №2-ში

ცხრილი №2

№	სამუშაოთა აღწერა	პერიოდი
1	ტექნიკური რეკულტივაცია	01.03.2023 31.05.2023
2	ბიოლოგიური რეკულტივაცია	31.05.2023 01.07.2023
	აღდგენილი ტერიტორიის მონიტორინგი	01.07.2023- 01.07.2024

*** მეტეროლოგიური და სხვა ობიექტური პირობებიდან გამომდინარე სამუშაოთა წარმოების გრაფიკში შესაძლებელია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს თანხმობის შემთხვევაში შევიდეს ცვლილება.

6. სარეკულტივაციო სამუშაოების შედეგები


წარმოდგენილი პროექტის მიზანია, შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბათუმი (ანგისა) - ახალციხის საავტომობილო გზის ხულო-გოდერძის მონაკვეთის (კმ 80 -კმ 110) სამშენებლო ბანაკების ტერიტორიის აღდგენა.


სარეკულტივაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ ჩვენ მივიღებთ ტექნიკურად და ბიოლოგიურად აღდგენილ მიწის ნაკვეთს, რომელიც შერწყმული იქნება ადგილობრივ ლანდშაფტთან. რეკულტირებულ ფართობზე დათესილი იქნება ბალახი. სარეკულტივაციო სამუშაოების შედეგად ტერიტორია კვლავ შესაძლებელი იქნება, რომ გამოყენებული იქნეს სასოფლო-სამეურნეო (გაკულტივირებული საძოვარი) დანიშნულებით.


„შპს კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალი საქართველოში“ სარეკულტივაციო სამუშაოების დასრულებიდან მომდევნო ერთი წლის განმავლობაში განახორციელებს აღდგენილი ტერიტორიის მუდმივ მონიტორინგს. ბალახის საფარის რემედიაციის გართულების შემთხვევაში მოხდება განმეორებით დათესვა




დაწარმები









მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტი
Land handover and acceptance certificate

ხულო/Khulo

03.04.2021


ერთის მხრივ, „შპს კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალი საქართველოში“-ს (ს/ნ 404859122) დირექტორის წარმომადგენელი ქინგიუ ლი (შემდგომში "მოიჯარე") და მეორეს მხრივ, გაი ქედელიძე (პ/ნ: 61009006080), (შემდგომში "მეიჯარე") საქართველოს სამოქალაქო კოდექსით მინიჭებული უფლებისა და ნების თავისუფალი გამოვლენის საფუძველზე, ვაფორმებთ მიღება-ჩაბარების აქტს შემდეგზე:

On the one hand, the representative of „Sinohydro corporation limited branch in Georgia I/N 404859122 Qingyou Li (hereafter referred as "Lessee") and On the other hand, Gia Qedelidze (ID: 61009006080), (hereinafter referred as "Lessor") On the basis of consent and voluntarily regarding to the Georgian rules and laws mainly the right granted by the Civil Code of Georgia, have concluded this handover and acceptance certificate as flowing:

1. მეიჯარე გადასცემს მოიჯარეს მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: 23.01.33.041) დროებით სარგებლობაში, სამშენებლო ზაზის მოსაწყობად.
The lessor handovers to the lessee right of temporary usage of the land plot (cadastral code: 23.01.33.041) to arrange construction site.
2. მოიჯარე იღებს ვალდებულებას მიწის ნაკვეთის სარგებლობის დასრულების შემდეგ მოახდინოს საიჯარო ტერიტორიის რეკულტივაცია.
The lessee undertakes to recultivate the leased area after the end of the land use.
3. მეიჯარე თანახმაა, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებული პროექტის საფუძველზე განხორციელდეს მიწის ნაკვეთის რეკულტივაცია.
The lessor agrees that the land should be recultivated on the basis of a project agreed with the Ministry of Environment Protection and Agriculture of Georgia.
4. მიღება-ჩაბარების აქტი შედგენილია ინგლისურ და ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 იდენტურ ეგზემპლარად.
The handover and acceptance form is drawn up in English and Georgian language identical two copies with equal legal force.

მეიჯარე/The Lessor:

გაი ქედელიძე (პ/ნ 61009006080)
Gia Qedelidze (ID: 61009006080),



მოიჯარე/The Lessee

„შპს კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალი საქართველოში“ (ს/ნ 404859122)
Sinohydro corporation limited branch in Georgia (I/N 404859122)

პროექტის მენეჯერი/Project manager

ქინგიუ ლი/ Qingyou Li



მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტი
Land handover and acceptance certificate

ხულო/Khulo

03.04.2021


ერთის მხრივ, „შპს კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალი საქართველოში“-ს (ს/ნ 404859122) დირექტორის წარმომადგენელი ქინგიუ ლი (შემდგომში "მოიჯარე") და მეორეს მხრივ, თამაზ ხოზრევანიძე, (პ/ნ: 61009011246), დალი ხოზრევანიძე (პ/ნ: 61009011261), ხვიჩა ხოზრევანიძე (პ/ნ: 61009028510) ნონა ხოზრევანიძე (პ/ნ: 61009028490) და შორენა ხოზრევანიძე (პ/ნ: 61009027475) შემდგომში - "მეიჯარე", საქართველოს სამოქალაქო კოდექსით მინიჭებული უფლებისა და ნების თავისუფალი გამოვლენის საფუძველზე, ვაფორმებთ მიღება-ჩაბარების აქტს შემდეგ:

On the one hand, the representative of „Sinohydro corporation limited branch in Georgia I/N 404859122 Qingyou Li (hereafter referred as "Lessee") and On the other hand, Tamar Khozrevanidze (ID: 61009011246) Dali Khozrevanidze (ID 61009011261), Khvicha Khozrevanidze (ID 61009028510), Nona Khozrevanidze (ID : 61009028490), Shorena Khozrevanidze (ID 61009027475), (hereinafter referred as "Lessor") On the basis of consent and voluntarily regarding to the Georgian rules and laws mainly the right granted by the Civil Code of Georgia, have concluded this handover and acceptance certificate as flowing:

1. მეიჯარე გადასცემს მოიჯარეს მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: 23.01.33.046) დროებით სარგებლობაში, სამშენებლო ზაზის მოსაწყობად.
The lessor handovers to the lessee right of temporary usage of the land plot (cadastral code: 23.01.33.046) to arrange construction site.
2. მოიჯარე იღებს ვალდებულებას მიწის ნაკვეთის სარგებლობის დასრულების შემდეგ მოახდინოს საიჯარო ტერიტორიის რეკულტივაცია.
The lessee undertakes to recultivate the leased area after the end of the land use.
3. მეიჯარე თანახმაა, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებული პროექტის საფუძველზე განხორციელდეს მიწის ნაკვეთის რეკულტივაცია.
The lessor agrees that the land should be recultivated on the basis of a project agreed with the Ministry of Environment Protection and Agriculture of Georgia.
4. მიღება-ჩაბარების აქტი შედგენილია ინგლისურ და ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 იდენტურ ეგზემპლარად.
The handover and acceptance form is drawn up in English and Georgian language identical two copies with equal legal force.

მეიჯარეები/The Lessors:

თამაზ ხოზრევანიძე, (პ/ნ: 61009011246),
დალი ხოზრევანიძე (პ/ნ: 61009011261),
ხვიჩა ხოზრევანიძე (პ/ნ: 61009028510) ნონა
ხოზრევანიძე (პ/ნ: 61009028490) და შორენა
ხოზრევანიძე (პ/ნ: 61009027475)
Tamar Khozrevanidze (ID: 61009011246)
Dali Khozrevanidze (ID 61009011261), Khvicha
Khozrevanidze (ID 61009028510), Nona
Khozrevanidze (ID : 61009028490), Shorena
Khozrevanidze (ID 61009027475),



მოიჯარე/The Lessees:

„შპს კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალი
საქართველოში“ (ს/ნ 404859122)
Sinohydro corporation limited branch in Georgia
(I/N 404859122)

პროექტის მენეჯერი/Project manager

ქინგიუ ლი/ Qingyou Li



მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტი
Land handover and acceptance certificate

ხულო/Khulo

03.04.2021

ერთის მხრივ, „შპს კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალი საქართველოში“-ს (ს/ნ 404859122) დირექტორის წარმომადგენელი ქინგიუ ლი (შემდგომში "მოიჯარე") და მეორეს მხრივ, გულნაზ გელაძე (პ/ნ: 61009032431), დარიკო გელაძე (პ/ნ 61009024074) მერაბ გელაძე (პ/ნ 61009024072) და ხათუნა გელაძე (პ/ნ 61009023135), შემდგომში - "მოიჯარე", საქართველოს სამოქალაქო კოდექსით მინიჭებული უფლებების და ნების თავისუფალი გამოვლენის საფუძველზე, ვაფორმებთ მიღება-ჩაბარების აქტს შემდეგზე:

On the one hand, the representative of „Sinohydro corporation limited branch in Georgia I/N 404859122 Qingyou Li (hereafter referred as "Lessee") and On the other hand, Gulnaz Geladze (ID: 61009032431), Dariko Geladze (ID 61009024074), Merab Geladze (ID 61009024072) and Khatuna Geladze (ID 61009023135), (hereinafter referred as "Lessor") On the basis of consent and voluntarily regarding to the Georgian rules and laws mainly the right granted by the Civil Code of Georgia, have concluded this handover and acceptance certificate as flowing:

1. მოიჯარე გადასცემს მოიჯარეს მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: 23.01.33.086) დროებით სარგებლობაში, სამშენებლო ბაზის მოსაწყობად.
The lessor handovers to the lessee right of temporary usage of the land plot (cadastral code: 23.01.33.086) to arrange construction site.
2. მოიჯარე იღებს ვალდებულებას მიწის ნაკვეთის სარგებლობის დასრულების შემდეგ მოახდინოს საიჯარო ტერიტორიის რეკულტივაცია.
The lessee undertakes to recultivate the leased area after the end of the land use.
3. მოიჯარე თანახმაა, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებული პროექტის საფუძველზე განხორციელდეს მიწის ნაკვეთის რეკულტივაცია.
The lessor agrees that the land should be recultivated on the basis of a project agreed with the Ministry of Environment Protection and Agriculture of Georgia.
4. მიღება-ჩაბარების აქტი შედგენილია ინგლისურ და ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 იდენტურ ეგზემპლარად.
The handover and acceptance form is drawn up in English and Georgian language identical two copies with equal legal force.

მოიჯარეები/The Lessors:


გულნაზ გელაძე (პ/ნ: 61009032431),
Gulnaz Geladze (ID: 61009032431),
დარიკო გელაძე (პ/ნ 61009024074)
Dariko Geladze (ID 61009024074),
მერაბ გელაძე (პ/ნ 61009024072)
Merab Geladze (ID 61009024072)
ხათუნა გელაძე (პ/ნ 61009023135),
Khatuna Geladze (ID 61009023135),

მოიჯარე/The Lessees:

„შპს კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალი საქართველოში“ (ს/ნ 404859122)
Sinohydro corporation limited branch in Georgia (I/N 404859122)

პროექტის მენეჯერი/Project manager

ქინგიუ ლი/ Qingyou Li





მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტი
Land handover and acceptance certificate

ხულო/Khulo

03.04.2021

ერთის მხრივ, „შპს კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალი საქართველოში“-ს (ს/ნ 404859122) დირექტორის წარმომადგენელი ქინგიუ ლი (შემდგომში "მოიჯარე") და მეორეს მხრივ, გულნარა პაპიძე, (პ/ნ 52801027986), ვეფხვია პაპიძე (პ/ნ: 61009011087), თამილა პაპიძე (პ/ნ: 52001024742), მანუჩარ პაპიძე (პ/ნ: 61009027114), მეგი პაპიძე (პ/ნ: 52001024732), მერი პაპიძე (პ/ნ: 61009014445), რომან პაპიძე (პ/ნ: 52401026229), შალვა პაპიძე (პ/ნ: 61554001595), შემდგომში - "მეიჯარე", საქართველოს სამოქალაქო კოდექსით მინიჭებული უფლებისა და ნების თავისუფალი გამოვლენის საფუძველზე, ვაფორმებთ მიღება-ჩაბარების აქტს შემდეგზე:

On the one hand, the representative of „Sinohydro corporation limited branch in Georgia I/N 404859122 Qingyou Li (hereafter referred as "Lessee") and On the other hand, Gulnara Papidze, (ID 52801027986), Vepkhvia Papidze (ID: 61009011087), Tamila Papidze (ID: 52001024742), Manuchar Papidze (ID: 61009027114), Megi Papidze (ID: 52001024732), Meri Papidze (ID: 61009014445), Roman Papidze (ID 52401026229), Shalva Papidze (ID: 61554001595), (hereinafter referred as "Lessor") On the basis of consent and voluntarily regarding to the Georgian rules and laws mainly the right granted by the Civil Code of Georgia, have concluded this handover and acceptance certificate as flowing:

1. მეიჯარე გადასცემს მოიჯარეს მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: 23.01.33.385) დროებით სარგებლობაში, სამშენებლო ბაზის მოსაწყობად,
The lessor handovers to the lessee right of temporary usage of the land plot (cadastral code: 23.01.33.385) to arrange construction site.
2. მოიჯარე იღებს ვალდებულებას მიწის ნაკვეთის სარგებლობის დასრულების შემდეგ მოახდინოს საიჯარო ტერიტორიის რეკულტივაცია.
The lessee undertakes to recultivate the leased area after the end of the land use.
3. მეიჯარე თანახმაა, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებული პროექტის საფუძველზე განხორციელდეს მიწის ნაკვეთის რეკულტივაცია.
The lessor agrees that the land should be recultivated on the basis of a project agreed with the Ministry of Environment Protection and Agriculture of Georgia.
4. მიღება-ჩაბარების აქტი შედგენილია ინგლისურ და ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 იდენტურ ეგზემპლარად.
The handover and acceptance form is drawn up in English and Georgian language identical two copies with equal legal force.

მეიჯარეები/The Lessors:

გულნარა პაპიძე, (პ/ნ 52801027986), ვეფხვია პაპიძე (პ/ნ: 61009011087), თამილა პაპიძე (პ/ნ: 52001024742), მანუჩარ პაპიძე (პ/ნ: 61009027114), მეგი პაპიძე (პ/ნ: 52001024732), მერი პაპიძე (პ/ნ: 61009014445), რომან პაპიძე (პ/ნ: 52401026229), შალვა პაპიძე (პ/ნ: 61554001595)
Gulnara Papidze, (ID 52801027986), Vepkhvia Papidze (ID: 61009011087), Tamila Papidze (ID: 52001024742), Manuchar Papidze (ID: 61009027114), Megi Papidze (ID: 52001024732), Meri Papidze (ID: 61009014445), Roman Papidze (ID 52401026229)

მოიჯარე/The Lessees:

„შპს კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალი საქართველოში“ (ს/ნ 404859122)
Sinohydro corporation limited branch in Georgia (I/N 404859122)

პროექტის მენეჯერი/Project manager

ქინგიუ ლი/ Qingyou Li



Handwritten signatures in Georgian script.

1 : 1200 მასშტაბის გეგმა
საკადასტრო კოდი: 23.01.33.385
ფართობი: 1500 კვ.მ


წყალხაფიშების აბაზილი
X- 290795.678
Y- 4613557.461

წყალ აბაზის აბაზილი
X - 291057.19
Y- 4613475.92

საღმარაბი

ბათუმი (ანბისა) -ახალაფხისის გზა

- გ1-ნედლეულის (ქვიშა-ხრეში) ავტოთვითმცლელიდან ჩამოცლა;
- გ2-ნედლეულის (ქვიშა-ხრეში) საწყობი;
- გ3-ნედლეულის (ქვიშა-ხრეში) სამსხვრევის ბუნკერში ჩაყრა;
- გ4-სამსხვრევი დანადგარი;
- გ5-ინერტული მასალის (ქვიშა-ღორღი) ლენტური ტრანსპორტიორით გადაადგილება;
- გ6-ინერტული მასალის (ქვიშა-ღორღი) საწყობი.





საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 12026/01
22/11/2021

12026-01-2-202111221514



შპს „კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალი საქართველო“-ს დირექტორს
ბატონ პენგ ჰეს

მის: ქ. თბილისი, გ. ფანჯიკიძის N22, 1-ლი სართული

ბატონო პენგ,

„კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის განხილვისა და შეთანხმების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს N211 ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, გაცნობებთ რომ თქვენი წერილით (N19521; 01.11.2021) წარმოდგენილი, შპს „კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალი საქართველო“-ს (ს/ნ: 404859122) 2021-2022 წლების კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმა შეთანხმებულ იქნა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ.

პატივისცემით,

სოლომონ ჰავლიაშვილი

მინისტრის მოადგილე



ვამტკიცებ:

„შპს კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალი საქართველოში“-ს

დირექტორი: _____ პენგ ჰე



29 ოქტომბერი 2021 წ.

„შპს კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალი საქართველოში“-ს
ნარჩენების მართვის გეგმა

2021-2022 წწ.

თბილისი

2021 წ.



სარჩევი

შესავალი.....	3
1. ინფორმაცია საქმიანობის სუბიექტის შესახებ.....	5
2. ალწერილობითი ნაწილი.....	6
3. დასკვნითი ნაწილი	18
3.1 ნარჩენების პრევენციისა და აღდგენის ღონისძიებები	18
3.2 წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების მეთოდები.....	20
3.3 ნარჩენების სეპარირების მეთოდის აღწერა.....	22
3.4 წარმოქმნილი ნარჩენების დროებითი შენახვის მეთოდები.....	23
3.5 სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის მეთოდები.....	24
3.6 წარმოქმნილი ნარჩენების დამუშავების მეთოდები.....	25
3.7 წარმოქმნილი ნარჩენების მართვაზე (შეგროვება, ტრანსპორტირება, აღდგენა/განთავსება) პასუხისმგებელი პირები.....	39
3.8 სახიფათო ნარჩენების უსაფრთხო მართვა და სწავლება.....	40
4. გამოყენებული ლიტერატურა.....	42
დანართები.....	43
დანართი №1: სახიფათო ნარჩენის საინფორმაციო ფურცელი.....	43
დანართი №2: სახიფათო ნარჩენების ტრანსპორტირების ფორმა.....	45
დანართი №3: სახიფათო ტვირთის საშიშროების ნიშნების ნიმუშები.....	49



შესავალი

„შპს კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალი საქართველოში“-ს ნარჩენების მართვის გეგმა მომზადებულია „ნარჩენების მართვის კოდექსის“-ს მე-14 მუხლის მოთხოვნათა შესრულების მიზნით და შეესაბამება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2015 წლის 04 აგვისტოს №211 ბრძანებით დამტკიცებულ „კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის განხილვისა და შეთანხმების წესით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

„შპს კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალი საქართველოში“ 2010 წლიდან ოპერირებს ქართულ სამშენებლო ბაზარზე. კომპანია წარმოადგენს უმსხვილესი ჩინური კორპორაციის - შპს „კორპორაცია სინოჰიდრო“-ს საქართველოს ფილიალს. საქართველოში მუშაობის 11 წლიანი პერიოდის განმავლობაში ჩვენმა კომპანიამ უკვე დაასრულა ისეთი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები როგორცაა: რიკოთის გვირაბის რეაბილიტაცია, ქობულეთის შემოვლითი გზის, თბილისი-რუსთავის გზის პირველი და მესამე მონაკვეთების, E-60 მაგისტრალის სამტრედია-გრიგოლეთის მე-2 ლოტისა და ზემო ოსიაური-ჩუმათელეთის 1-ლი ლოტის მშენებლობა

დღეის მდგომარეობით „შპს კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალი საქართველოში“ საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაკვეთით საქართველოს ახორციელებს შემდეგ ინფრასტრუქტურულ პროექტებს:

1. შიდასახელმწიფო მნიშვნელობის ბათუმი (ანგისა)-ახალციხის საავტომობილო გზის, ხულო-გოდერძის კმ 80 - კმ 110 (1-ლი ლოტი),
2. შიდასახელმწიფო მნიშვნელობის ბათუმი (ანგისა)-ახალციხის საავტომობილო გზის, გოდერძი- ზარზმის კმ 110 - კმ 127 (მე-2 ლოტი),
3. ე-60 მაგისტრალის ზემო ოსიაური-ჩუმათელეთის (მე-2 ლოტი) მონაკვეთი.

ამასთანავე, კომპანიას აქვს სამშენებლო ბაზა ქ. ლნაჩხუთში, დ. აღმაშენებლის ქ. 68-ში და 2 ოფისი ქ. თბილისში.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, „შპს კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალი საქართველოში“ სპეციალიზებულია სამშენებლო სამუშაოებზე, შესაბამისად ის წარმოადგენს „ნარჩენების მართვის კოდექსის“ მე-14 მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტს.



ჩვენი კომპანიის მართვის გეგმის შემუშავების დროს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ნარჩენების პრევენციასა და ხელახალი გამოყენების საკითხებს. ასევე, კომპანიის მიზანია, რაც შეიძლება შეამციროს უარყოფითი ზეგავლენა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე, თავიდან აიცილოს ნიადაგის, წყლის, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება.

ნარჩენების მართვის კოდექსის მე-5 მუხლის მე-2 მუხლის შესაბამისად ნარჩენების მართვა ხორციელდება შემდეგი პრინციპების გათვალისწინებით:

ა) „უსაფრთხოების წინასწარი ზომების მიღების პრინციპი“ – მიღებული უნდა იქნეს ზომები გარემოსთვის ნარჩენებით გამოწვეული საფრთხის თავიდან ასაცილებლად, მაშინაც კი, თუ არ არსებობს მეცნიერულად დადასტურებული მონაცემები;

ბ) პრინციპი „დამბინძურებელი იხდის“ – ნარჩენების წარმომქმნელი ან ნარჩენების მფლობელი ვალდებულია გაიღოს ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული ხარჯები;

გ) „სიახლოვის პრინციპი“ – ნარჩენები უნდა დამუშავდეს ყველაზე ახლოს მდებარე ნარჩენების დამუშავების ობიექტზე, გარემოსდაცვითი და ეკონომიკური ეფექტიანობის გათვალისწინებით;

დ) „თვითუზრუნველყოფის პრინციპი“ – უნდა ჩამოყალიბდეს და ფუნქციონირებდეს მუნიციპალური ნარჩენების განთავსებისა და აღდგენის ობიექტების ინტეგრირებული და ადეკვატური ქსელი.

„შპს კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალი საქართველოში“-ს ნარჩენების მართვის გეგმის ძირითადი ამოცანებია:

ა) ნარჩენების აღრიცხვა (სახეობებისა და რაოდენობის დადგენა);

ბ) ნარჩენების სეპარირებული შეგროვების უზრუნველყოფა;

გ) ნარჩენების დროებითი შენახვის ადგილის უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

დ) ნარჩენების აღდგენის, ხელახალი გამოყენების ისეთი მეთოდების დანერგვა, რაც შეამცირებს გარემოზე უარყოფით ზემოქმედებას;

ე) კომპანიის „მწვანე პოლიტიკის“ შემუშავებას, რაც უზრუნველყოფს ნარჩენების პრევენციას როლის ზრდას კომპანიის საქმიანობაში;

ვ) ნარჩენების უსაფრთო განთავსება;

ზ) კომპანიის თანამშრომლების ნარჩენების მართვის საკითხების ცოდნის ამაღლება და პასუხისმგებლობის განსაზღვრა.



1. ინფორმაცია საქმიანობის სუბიექტის შესახებ:

1	საქმიანობის განმახორციელებელი	„შპს კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალი საქართველოში“
2	სამართლებრივი ფორმა	უცხოური საწარმოს ფილიალი
3	იურიდიული მისამართი	ქ. თბილისი, ად. მიცკევიჩის ქ., №29, კორპ.№1, ფაქტობრივი მის.: ქ. თბილისი, გ. ფანჯიკიძის #22, 1-ლი სართული
4	რეგისტრაციის თარიღი	08/04/2010
5	საიდენტიფიკაციო ნომერი	404859122
6.	მონაცემები ხელმძღვანელის და გარესმოსდაცვითი მმართველის შესახებ	დირექტორი: პენგ ჰე გარემოსდაცვითი მმართველი: ლაშა გორგილაძე ელ.ფოსტა.:eiasinohydro@gmail.com ტელ.:595000226
	საქმიანობის დეტალური აღწერა	საქმიანობის სფერო: საგზაო სამშენებლო სამუშაოები; საქმიანობის აღწერა: „შპს კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალი საქართველოში“ ახდენს გზების, ხიდების მშენებლობას, რაც თავის მხრივ მოიცავს შემდეგ სამუშაოებს: გზის საძირკვლის გათხრა, საექსკავაციო სამუშაოები, ინერტული მასალების შეტანა, ტკეპნა, ასფალტ-ბეტონის წარმოება და გზებზე დაგება, ინერტული მასალების ტრანსპორტირება, რკინაბეტონის კონსტრუქციების მოწყობა და სხვა.



2. აღწერილობითი ნაწილი

2.1 ინფორმაცია ქ. ლანჩხუთში, დ. აღმაშენებლის #68-ში არსებულ სამშენებლო ბაზაზე წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ

2021 წ.

ნარჩენის დასახელება	ნარჩენის კოდი	ფიზიკური მდგომარეობა	ნარჩენების რაოდენობა	სახიფათოობის მახასიათებელი
საბურავები	16 01 03	მყარი	2 ტონა	
ზეთის ფილტრები	16 01 07*	მყარი	0.1 ტონა	H 5
ტყვის შემცველი ბატარეები	16 06 01*	მყარი	0,2 ტონა	H 6, H 8
შავი ლითონი	16 01 17	მყარი	0,2 ტონა	
სამზარეულოს ბიოდეგრადირებადი ნარჩენები	20 01 08	მყარი	2,5 ტონა	
შერეული მუნიციპალური ნარჩენები	20 03 01	მყარი	1,5 ტონა	
აბსორბენტები, ფილტრის მასალები (ზეთის ფილტრების ჩათვლით, რომელიც არ არის განხილული სხვა კატეგორიაში), საწმენდი ნაჭრები და დამცავი ტანსაცმელი, რომელიც დაბინძურებულია სახიფათო ნივთიერებებით	15 02 02*	მყარი	0,1 ტონა	H 14
ძრავისა და კბილანური გადაცემის კოლოფის სინთეტიკური ზეთები და სხვა ზეთოვანი ლუბრიკანტები	13 02 06*	თხევადი	0,25 ტონა	H 5
პრინტერის ტონერი/მელანის ნარჩენები, რომლებიც შეიცავს სახიფათო ნივთიერებებს	08 03 17*	მყარი	0,01 ტონა	H 5
ქაღალდი და მუყაო	20 01 01	მყარი	0.05 ტონა	
ნარჩენები, რომელთა შეგროვება და განადგურება ექვემდებარება სპეციალურ მოთხოვნებს ინფექციების გავრცელების პრევენციის მიზნით (პირბადე, ხელთათმანი)	18 01 03*	მყარი	0,05 ტონა	H 5, H 9



2022 წ.

ნარჩენის დასახელება	ნარჩენის კოდი	ფიზიკური მდგომარეობა	ნარჩენების რაოდენობა	სახიფათოობის მახასიათებელი
საბურავები	16 01 03	მყარი	2 ტონა	
ზეთის ფილტრები	16 01 07*	მყარი	0.1 ტონა	H 5
ტყვიის შემცველი ბატარეები	16 06 01*	მყარი	0,2 ტონა	H 6, H 8
შავი ლითონი	16 01 17	მყარი	0,2 ტონა	
სამზარეულოს ბიოდეგრადირებადი ნარჩენები	20 01 08	მყარი	2,5 ტონა	
შერეული მუნიციპალური ნარჩენები	20 03 01	მყარი	1,5 ტონა	
აბსორბენტები, ფილტრის მასალები (ზეთის ფილტრების ჩათვლით, რომელიც არ არის განხილული სხვა კატეგორიაში), საწმენდი ნაჭრები და დამცავი ტანსაცმელი, რომელიც დაბინძურებულია სახიფათო ნივთიერებებით	15 02 02*	მყარი	0,1 ტონა	H 14
ძრავისა და კბილანური გადაცემის კოლოფის სინთეტიკური ზეთები და სხვა ზეთოვანი ლუბრიკანტები	13 02 06*	თხევადი	0,25 ტონა	H 5
პრინტერის ტონერი/მელანის ნარჩენები, რომლებიც შეიცავს სახიფათო ნივთიერებებს	08 03 17*	მყარი	0,01 ტონა	H 5
ქაღალდი და მუყაო	20 01 01	მყარი	0.5 ტონა	
ნარჩენები, რომელთა შეგროვება და განადგურება ექვემდებარება სპეციალურ მოთხოვნებს ინფექციების გავრცელების პრევენციის მიზნით (პირბადე, ხელთათმანი)	18 01 03*	მყარი	0,05 ტონა	H 5, H 9



2.2 ინფორმაცია „შპს კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალი საქართველოში“-ს ქ. თბილისის #1 ოფისში (ლომონოსოვის ქ. #11) წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ

2021 წ.

ნარჩენის დასახელება	ნარჩენის კოდი	ფიზიკური მდგომარეობა	ნარჩენების რაოდენობა	სახიფათოობის მახასიათებელი
სამზარეულოს ბიოდეგრადირებადი ნარჩენები	20 01 08	მყარი	1,5 ტონა	
შერეული მუნიციპალური ნარჩენები	20 03 01	მყარი	1,1 ტონა	
ნარჩენები, რომელთა შეგროვება და განადგურება ექვემდებარება სპეციალურ მოთხოვნებს ინფექციების გავრცელების პრევენციის მიზნით (პირბადე, ხელთათმანი)	18 01 03*	მყარი	0,01 ტონა	H 5, H 9

2022 წ.

ნარჩენის დასახელება	ნარჩენის კოდი	ფიზიკური მდგომარეობა	ნარჩენების რაოდენობა	სახიფათოობის მახასიათებელი
სამზარეულოს ბიოდეგრადირებადი ნარჩენები	20 01 08	მყარი	1,7 ტონა	
შერეული მუნიციპალური ნარჩენები	20 03 01	მყარი	1,2 ტონა	
ნარჩენები, რომელთა შეგროვება და განადგურება ექვემდებარება სპეციალურ მოთხოვნებს ინფექციების გავრცელების პრევენციის მიზნით (პირბადე, ხელთათმანი)	18 01 03*	მყარი	0,01 ტონა	H 5, H 9



2.3 ინფორმაცია „შპს კორპორაცია სინოჰიდროს ფილიალი საქართველოში“-ს ქ. თბილისის #2 ოფისში (გ. ფანჯიკიძის ქ. #22, 1-ლი სართული) წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ

2021 წ.

ნარჩენის დასახელება	ნარჩენის კოდი	ფიზიკური მდგომარეობა	ნარჩენების რაოდენობა	სახიფათოობის მახასიათებელი
სამზარეულოს ბიოდეგრადირებადი ნარჩენები	20 01 08	მყარი	0,5 ტონა	
შერეული მუნიციპალური ნარჩენები	20 03 01	მყარი	0,8 ტონა	
პრინტერის ტონერი/მელანის ნარჩენები, რომლებიც შეიცავს სახიფათო ნივთიერებებს	08 03 17*	მყარი	0,02 ტონა	H 5
ქაღალდი და მუყაო	20 01 01	მყარი	0.2 ტონა	
ნარჩენები, რომელთა შეგროვება და განადგურება ექვემდებარება სპეციალურ მოთხოვნებს ინფექციების გავრცელების პრევენციის მიზნით (პირბადე, ხელთათმანი)	18 01 03*	მყარი	0,02 ტონა	H 5, H 9

2022 წ.

ნარჩენის დასახელება	ნარჩენის კოდი	ფიზიკური მდგომარეობა	ნარჩენების რაოდენობა	სახიფათოობის მახასიათებელი
სამზარეულოს ბიოდეგრადირებადი ნარჩენები	20 01 08	მყარი	0,5 ტონა	
შერეული მუნიციპალური ნარჩენები	20 03 01	მყარი	0,8 ტონა	
პრინტერის ტონერი/მელანის ნარჩენები, რომლებიც შეიცავს სახიფათო ნივთიერებებს	08 03 17*	მყარი	0,02 ტონა	H 5
ქაღალდი და მუყაო	20 01 01	მყარი	0.2 ტონა	
ნარჩენები, რომელთა შეგროვება და განადგურება ექვემდებარება სპეციალურ მოთხოვნებს ინფექციების გავრცელების პრევენციის მიზნით (პირბადე, ხელთათმანი)	18 01 03*	მყარი	0,02 ტონა	H 5, H 9



2.4 ინფორმაცია ე-60 მაგისტრალის ზემო ოსიაური-ჩუმათელეთის მონაკვეთის (მე-2 ლოტი) წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ (ხაშური, ს. ზემო ოსიაური)

2021 წ.

ნარჩენის დასახელება	ნარჩენის კოდი	ფიზიკური მდგომარეობა	ნარჩენების რაოდენობა	სახიფათოობის მახასიათებელი
საბურავები	16 01 03	მყარი	2.5 ტონა	
ზეთის ფილტრები	16 01 07*	მყარი	0.95 ტონა	H 5
მწყობრიდან გამოსული ხელსაწყოები, რომელიც შეიცავს სახიფათო კომპონენტებს, რომელსაც არ ვხვდებით 16 02 09-დან 16 02 12-მდე პუნქტებში	16 02 13*	მყარი	0.1 ტონა	H5, H6,
ტყვიის შემცველი ბატარეები	16 06 01*	მყარი	0,5 ტონა	H 6, H 8
შავი ლითონი	16 01 17	მყარი	2,5 ტონა	
სამზარეულოს ბიოდეგრადირებადი ნარჩენები	20 01 08	მყარი	45 ტონა	
შერეული მუნიციპალური ნარჩენები	20 03 01	მყარი	8,5 ტონა	
აბსორბენტები, ფილტრის მასალები (ზეთის ფილტრების ჩათვლით, რომელიც არ არის განხილული სხვა კატეგორიაში), საწმენდი ნაჭრები და დამცავი ტანსაცმელი, რომელიც დაბინძურებულია სახიფათო ნივთიერებებით	15 02 02*	მყარი	0,5 ტონა	H 14
სინთეტიკური ჰიდრაულიკური ზეთები	13 01 11	თხევადი	0,2 ტონა	H5, H14, H3-B
ძრავისა და კბილანური გადაცემის კოლოფის სინთეტიკური ზეთები და სხვა ზეთოვანი ლუბრიკანტები	13 02 06*	თხევადი	2.5 ტონა	H 5
პრინტერის ტონერი/მელანის ნარჩენები, რომლებიც შეიცავს სახიფათო ნივთიერებს	08 03 17*	მყარი	0.02 ტონა	H 5



ქაღალდი და მუყაო	20 01 01	მყარი	0.1 ტონა	
ნიადაგი და ქვები, რომლებიც შეიცავს სახიფათო ნივთიერებებს	17 05 03*	მყარი	0,4 ტონა	H5
პლასტმასი	20 01 39	მყარი	0,1 ტონა	
ნარჩენები, რომელთა შეგროვება და განადგურება ექვემდებარება სპეციალურ მოთხოვნებს ინფექციების გავრცელების პრევენციის მიზნით (პირბადე, ხელთათმანი)	18 01 03*	მყარი	0,05 ტონა	H 5, H 9

2022 წ.

ნარჩენის დასახელება	ნარჩენის კოდი	ფიზიკური მდგომარეობა	ნარჩენების რაოდენობა	სახიფათოობის მახასიათებელი
საბურავები	16 01 03	მყარი	2.5 ტონა	
ზეთის ფილტრები	16 01 07*	მყარი	0.95 ტონა	H 5
მწყობრიდან გამოსული ხელსაწყოები, რომელიც შეიცავს სახიფათო კომპონენტებს, რომელსაც არ ვხვდებით 16 02 09-დან 16 02 12-მდე პუნქტებში	16 02 13*	მყარი	0.1 ტონა	H5, H6,
ტყვიის შემცველი ბატარეები	16 06 01*	მყარი	0,5 ტონა	H 6, H 8
შავი ლითონი	16 01 17	მყარი	2,5 ტონა	
სამზარეულოს ბიოდეგრადირებადი ნარჩენები	20 01 08	მყარი	45 ტონა	
შერეული მუნიციპალური ნარჩენები	20 03 01	მყარი	8,5 ტონა	
აბსორბენტები, ფილტრის მასალები (ზეთის ფილტრების ჩათვლით, რომელიც არ არის განხილული სხვა კატეგორიაში), საწმენდი ნაჭრები და დამცავი ტანსაცმელი, რომელიც დაბინძურებულია სახიფათო	15 02 02*	მყარი	0,5 ტონა	H 14



ნივთიერებებით				
სინთეტიკური ჰიდრავლიკური ზეთები	13 01 11	თხევადი	0,2 ტონა	H5, H14, H3-B
ძრავისა და კბილანური გადაცემის კოლოფის სინთეტიკური ზეთები და სხვა ზეთოვანი ლუბრიკანტები	13 02 06*	თხევადი	2.5 ტონა	H 5
პრინტერის ტონერი/მელანის ნარჩენები, რომლებიც შეიცავს სახიფათო ნივთიერებებს	08 03 17*	მყარი	0.02 ტონა	H 5
ქაღალდი და მუყაო	20 01 01	მყარი	0.1 ტონა	
ნიადაგი და ქვები, რომლებიც შეიცავს სახიფათო ნივთიერებებს	17 05 03*	მყარი	0,4 ტონა	H5
პლასტმასი	20 01 39	მყარი	0,1 ტონა	
ნარჩენები, რომელთა შეგროვება და განადგურება ექვემდებარება სპეციალურ მოთხოვნებს ინფექციების გავრცელების პრევენციის მიზნით (პირბადე, ხელთათმანი)	18 01 03*	მყარი	0,05 ტონა	H 5, H 9

2.5 ინფორმაცია შიდასახელმწიფო მნიშვნელობის ბათუმი (ანგისა)–ახალციხის საავტომობილო გზის, ხულო-გოდერძის კმ 80 - კმ 110 (1-ლი ლოტი) პროექტზე წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ (ხულოს მუნიციპალიტეტი, ს. დანისპარაული)

2021 წ.

ნარჩენის დასახელება	ნარჩენის კოდი	ფიზიკური მდგომარეობა	ნარჩენების რაოდენობა	სახიფათოობის მახასიათებელი
საბურავები	16 01 03	მყარი	1,5 ტონა	
ზეთის ფილტრები	16 01 07*	მყარი	0.5 ტონა	H 5
მწყობრიდან გამოსული ხელსაწყოები, რომელიც შეიცავს სახიფათო კომპონენტებს, რომელსაც არ ვხვდებით 16 02 09-დან 16 02 12-მდე პუნქტებში	16 02 13*	მყარი	0.05 ტონა	H5, H6,



ტყვიის შემცველი ბატარეები	16 06 01*	მყარი	0,1 ტონა	H 6, H 8
შავი ლითონი	16 01 17	მყარი	0,5 ტონა	
სამზარეულოს ბიოდეგრადირებადი ნარჩენები	20 01 08	მყარი	30 ტონა	
შერეული მუნიციპალური ნარჩენები	20 03 01	მყარი	5,5 ტონა	
აბორბენტები, ფილტრის მასალები (ზეთის ფილტრების ჩათვლით, რომელიც არ არის განხილული სხვა კატეგორიაში), საწმენდი ნაჭრები და დამცავი ტანისამოსი, რომელიც დაბინძურებულია სახიფათო ნივთიერებებით	15 02 02*	მყარი	0,4 ტონა	H 14
სინთეტიკური ჰიდრავლიკური ზეთები	13 01 11	თხევადი	0,1 ტონა	H5, H14, H3-B
ძრავისა და კბილანური გადაცემის კოლოფის სინთეტიკური ზეთები და სხვა ზეთოვანი ლუბრიკანტები	13 02 06*	თხევადი	1,5 ტონა	H 5
პრინტერის ტონერი/მელანის ნარჩენები, რომლებიც შეიცავს სახიფათო ნივთიერებებს	08 03 17*	მყარი	0.02 ტონა	H 5
ქაღალდი და მუყაო	20 01 01	მყარი	0.1 ტონა	
